გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№66 (961) 23 - 24 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სექტემბრიდან სკოლებში სამედიცინო კაბინეტები აღდგება

გვ. 8

რამდენ სკოლაში შევდენ და რა პრინციპით მოხდება ექიმთა არჩევა

თაკო ჩარკვიანის შოკისმომგვრელი წერილი

მეძავები, „გომიკები“, პატრიოტები, ქალიშვილები, ვირიშვილები და ოქროს მაძიებლები — საქართველოო დამაზო, სხვა საქართველო სად არის?!

გვ. 3

ევაჭრება თუ არა მეორე ტურის წინ ბურჯანაძე „ოცნებას“

გვ. 4

დაიშლება თუ არა ოპოზიციური ალიანსი, რაფომ ელის შემოდგომას და როგორ აპირებს ჯონდი ბალათურია „ქართული ოცნების“ დამთავრებას

პატიმრის დღიური

გვ. 8

საგარეჯოელმა „წივილამ“ გაგა მკურნალიძე პირში ჩალაგამოვლებული დატოვა

ეკა ბესელია ხალხში გაჩენილ კითხვებს პასუხობს

„ოცნება“ საკუთარი თავისთვის წამგებიან ნაბიჯებს დგამს, მაგრამ სახელმწიფოს აძლიერებს!“

გვ. 5

როგორ უნდა გაყიდონ მეორე ტურში მერობის კანდიდატებმა საკუთარი თავი სარფიანად

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების „ჯავახკური“ საფრთხე

გვ. 2

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების „ჯავახური“ საფრთხე

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოებასთან ერთად ექსპერტთა და პოლიტოლოგთა ნაწილი შესაძლო პროვოკაციებზე საუბრობს. ამ კუთხით ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა განსაკუთრებულს არაფერს ელის, თუმცა ამბობს, რომ ბოლო დროს ჯავახეთის რეგიონში სომხური „ჯავახკი“ საეჭვოდ გააქტიურდა.

— რუსეთს, რასაკვირველია, არ აწყობს, მის საზღვრებთან ევროკავშირი და ნატო ასე ახლოს რომ მოდის, რადგან ამით უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს საბოლოოდ კარგავს, მაგრამ დღეს ისეთი მდგომარეობაა, ამ პროცესის საწინააღმდეგოდ ვერაფერს გააწყობს. ერთადერთი, რისიც ყველაზე მეტად მეშინია, ისაა, რომ ორგანიზაცია „ჯავახკი“ ძალიან ცუდად მუშაობს — ჯავახეთის ავტონომიაზე საუბრობს და რუსეთს სთხოვს დახმარებას. თუ გახსოვთ, ამ რეგიონში რუსული პასპორტების დარიგებაც დაიწყეს, რაც ცუდისმომასწავებელია. სხვა მხრივ, ევროკავშირთან მეტი ინტეგრაციის გზაზე განსაკუთრებულ რისკს ვერ ვხედავ, მით უმეტეს, გერმანიის საგარეო სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის 27 ივნისისთვის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას. ამ ფონზე, თვითონ რუსეთს უკრაინაშიც მდგომარეობა გაურთულდა და აშშ-ევროკავშირს გარკვეულ მარწუხებში ჰყავს, ამიტომ არ მგონია, სერიოზული რამ გაბედოს, მაგრამ ვიმეორებ: მეშინია, „ჯავახკმა“ არაფერი აურიოს. მოსკოვს სხვა გადამწყვეტი ბერკეტი არ აქვს არც გაერო-სა და არც ევროსაბჭო-ევროპარლამენტში.

— ბატონო თენგიზ, მაინც რას მივიღებთ ასოცირების შეთანხმებით?

— უმთავრესია, რომ ევროპას ვუახლოვდებით — ჩვენი საბოლოო მიზანი ხომ ევროატლანტიკური სივრცე, ნატო-სა და ევროკავშირში შესვლაა. ამ კუთხით, ხელმოწერა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. რასაკვირველია, ჯერ შორს ვართ და კვლავ ვერ ვაკმაყოფილებთ იმ პირობებს, რაც ევროკავშირში გაწევრიანებისთვისაა საჭირო, მაგრამ 27 ივნისი საბოლოო მიზანს მნიშვნელოვნად გვაახლოებს. ამ საკითხებში ღრმად ვარ ჩახედული და მიმაჩნია, რომ მინიმუმ, 5-7 წელი გვჭირდება, ყველა ის მოთხოვნა-სტანდარტი დავაკმაყოფილოთ, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებისთვისაა საჭირო. საქმე ისაა, რომ ამ ინტეგრაციის გზაზე ყველაზე ძლიერ მხარს ამერიკის შეერთებული შტატები გვიჭერს, მაგრამ ნატო-ში მიღების პრინციპული წინააღმდეგნი არიან საფრანგეთი და გერმანია, თუმცა ამბობენ, როცა საქართველო შესაბამის დონემდე მივა, გაწევრიანებას ხმას აუცილებლად მივცემთო. აგერ, ნატო-ს წევრი თურქეთი ოცდაათ წელზე მეტია იბრძვის, ევროკავშირში მიიღონ და უარს ეუბნებიან. ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე საფრანგეთია, ჩვენ ასეთი წინააღმდეგობა არ გვექნება, ოღონდ ის მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ, რასაც ბებერი კონტინენტი მოითხოვს. ესაა პოლიტიკურ-ეკონომიკური, იურიდიული ასპექტები — დაახლოებით, 30-მდე საკითხია მოსაგვარებელი ყველა სფეროში. ისიც გავითვალისწინოთ, რომ პროცესები დაჩქარებულია, მათ შორის ეკონომიკაში, იურისპრუდენციაში მნიშვნელოვნად გამოსწორებულია მდგომარეობა.

რას ემსახურება გალის ქართული მოსახლეობისთვის „აფხაზური პასპორტების“ ჩამორთმევა

უშიშროების გენერლის ვერსიები და შეფასებები

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი რაულ ხაჯიმბა აცხადებს, რომ ოკუპირებულ რეგიონში, კერძოდ, გალის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ე.წ. ადმინისტრაციებთან არსებული კომისიის რეკომენდაციით გაცემული პასპორტები უკანონოდ მიიჩნევა. მისივე ინფორმაციით, ბევრი მათგანი, ვინც გალის რაიონში ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეა.

„საქმე ეხება 25-26 ათას ადამიანს — ამ კატეგორიას არ აქვს უფლება, მისცეს ხმა საპრეზიდენტო არჩევნებში, სანამ არ მოიხსნება ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება ძალიან უხეშ დარღვევებს პასპორტების გაცემის პროცესში“, — აცხადებს ხაჯიმბა და დასძენს, რომ ისინი, ვინც აფხაზური ე.წ. პასპორტები თავის დროზე კანონდარღვევით ანუ ისე აიღო, რომ საქართველოს მოქალაქეობასაც ფლობდა, აფხაზეთში ცხოვრებას გააგრძელებენ: *„ამ ხალხმა ჩვენთან ერთად უნდა ააშენოს აფხაზური სახელმწიფო, მაგრამ მათი სამართლებრივი სტატუსი ჩვენს კანონებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს“.*

მისივე აზრით, ნამდვილად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის პასპორტები, რომლებიც გაცემულია ადგილობრივ ადმინისტრაციებთან უკანონო კომისიების შექმნამდე. ამასთან, ხაჯიმბა არ იზიარებს დე ფაქტო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ბათალ ტაბაღუას განცხადებას, რომ არჩევნებიდან მხოლოდ 1 180 ადამიანი მოიხსნა, რომელთა დოკუმენტები ბათილად იქნა ცნობილი: *„სახელმწიფოს მეთაურისგან ვითხოვდით, გამოესწორებინა პასპორტების უკანონოდ გაცემასთან დაკავშირებული ვითარება, ეს არ გააკეთა და მოხდა ის, რაც მოხდა. ბათალ ტაბაღუას უნდა ესმოდეს, ეს მხოლოდ საუბრები არ არის. მოთხოვნა შესაბამისობაშია საკანონმდებლო სტრუქტურასთან და თუ საჭირო იქნება კანონის მიღება, მივიღებთ, სარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კი იძულებული იქნება, ამ კანონმდებლობის შესაბამისად იმოქმედოს“.*

აფხაზეთში მოღვაწე თბილისელი მეცნიერი გია ანჩაბაძე იმედოვნებს, რომ სოხუმში მსგავს ნაბიჯებს არ გადადგამენ: *„პრესაში ამის შესახებ იწერება, მაგრამ ეთნოწმენდის შესაძლებლობას ვერ დავუშვებ, დღევანდელ პირობებში ეს რისთვის უნდა გაკეთდეს? ღმერთმა ნუ ქნას, მსგავსი ნაბიჯები გადაიდგას“.*

რის მიღწევა სურთ ამ ნაბიჯით სეპარატისტებს? — „ვერსიას“ აფხაზეთის უშიშროების ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი **ლევან კიკნაძე** ესაუბრა.

— ამ საკითხის მიმართ რამდენიმე ინტერესი იკვეთება: მოსკოვის პოზიცია გასაგებია — ავიღოთ გადაყენებული ანქვაბისადმი დამოკიდებულება, რომელსაც არასოდეს ენდობოდა, რადგან ანქვაბი კონსტრუქციული კაცია და ეშინოდა, ჩვენთან მოლაპარაკებებზე დამოუკიდებლად არ გამოსულიყო; მეორე — გალის მოსახლეობა (ძველი და ახალი), ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებს რომ მიაკუთვნეს, ეს, რეალურად, ძველი გალის რაიონია, რომელიც მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული. გალის მოსახლეობას გადამწყვეტი როლი ჰქონდა არჩევნებში, ამიტომ ამით კიდევ ერთი კურდღლის მოკვლა უნდათ, რათა გალის მოსახლეობა უუფლებოდ დატოვონ და არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცეთ.

მესამე — აფხაზებსა და, განსაკუთრებით, სეპარატისტ აფხაზებს ყოველთვის დემოგრაფიული შიში აწუხებდათ ანუ გალის მოსახლეობა აფხაზეთში ყველაზე შეძლებულია, მხედველობაში მაქვს სოფლის მოსახლეობა. არ არის გამორიცხული, გალის მოსახლეობამ, დროთა განმავლობაში, იმავე აფხაზური პასპორტით, უძრავი ქონება შეიძინოს გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში... ამას ვერ აუკრძალავენ, ვერც უარს ეტყვიან, რადგან ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეა, მაგრამ ხაჯიმბას გახმოვანებული ბოლო ნაბიჯით ქართველებს ამის უფლებასაც ართმევენ. ყველაფერი ეს კომპლექსში უნდა განვიხილოთ და დავუმატოთ ხაჯიმბასა და ყველა სეპარატისტის „ტრადიციული სიძულვილი“ ქართველების მიმართ — ისინი ოცნებობენ, აფხაზები ქართველების გარეშე დარჩნენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეისთვის აფხაზეთის ქართული მოსახლეობა თითქმის გაუთანაბრდა აფხაზებს. მოკლედ, აფხაზებს ქართველების უუფლებოდ დატოვება უნდათ...

— ოკუპანტები და სეპარატისტები მორიგ ეთნოწმენდაზე რატომ არ წავლენ?

— რა საფუძველი აქვთ, გალის მოსახლეობა გამოყარონ, მით უმეტეს, მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს, იქ იცხოვროს; ამ ნაბიჯით ისინი ყველაფერს დაარღვევენ (ისედაც დარღვეული აქვთ). ხაჯიმბაც არ ამბობს, ქართველებს გავყრითო, ხომ დააკვირდით, იმას ახმოვანებს, რაც თვითონ სურს. ამით შეიძლება ნიადაგს ამზადებს, მოსახლეობა გახდეს იძულებული, წამოვიდეს და გამოყრა არ დაარქვან. ეს, რასაკვირველია, ჩვენთვის და, მით უმეტეს, გალის მოსახლეობისთვის ძალიან ცუდი პერსპექტივაა.

— ამ ფონზე, გალის მოსახლეობის განწყობა როგორია?

— მოსახლეობა, რასაკვირველია, უკმაყოფილოა, რომ პასპორტების წართმევა დაიწყება, მაგრამ პროტესტსაც ვერ გამოთქვამს.

— როგორია ამ კუთხით თბილისის პოზიცია?

— რა უნდა გააკეთოს თბილისმა? ძახილი დაიწყოს, პასპორტები არ ჩამოართვათო? ეს პასპორტი ისედაც უკანონოა, შესაბამისად, გაცემაცა და ჩამორთმევაც უკანონოა. ერთადერთი, თუ ვითარება ისე გამწვავდა, მოსახლეობის გამოყრა დაიწყეს, მაშინ ხმაა ასამაღლებელი — რაღაც ფორმით უნდა გააფრთხილონ სეპარატისტები, არ მიქარონ და ეს არ გააკეთონ. მსგავს ვითარებას არ უნდა შევურიგდეთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ევროპული გზისადმი ერთგულება დავამტკიცეთ!“

„27 ივნისს ჩვენ ხელს ვაწერთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და ამ ნაბიჯით გადავდივართ ურთიერთობების თვისობრივად სრულიად ახალ ეტაპზე“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუმინეთის, მოლდოვის, ჩეხეთისა და სერბეთის პრემიერ-მინისტრებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მან მადლობა გადაუხადა რუმინეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ პონტას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის და ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის არსებულ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკავშირთან და მისი წევრი ქვეყნების აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებთან გაღრმავებულ ურთიერთობებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ხუთი წლის წინ აღმოსავლეთ პარტნიორობამ გახსნა ახალი შესაძლებლობები ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებისკენ.

„ჩვენი მხრივ, დავამტკიცეთ ევროპული გზისადმი ერთგულება იმით, რომ წარმატებით განვახორციელეთ დემოკრატიული რეფორმები და მოვახდინეთ ჩვენი საზოგადოების ევროპული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზება. განუხრელად მივყვებით ევროინტეგრაციის კურსს, რომელიც ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი ემყარება საქართველოს მოსახლეობის 85%-სა და ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას“, — აღნიშნა საქართველოს მთავრობის მეთაურმა და მადლობა გადაუხადა ყველა მეგობარ ქვეყანას საქართველოს წარმატებების გაზიარებისთვის.

თავის მხრივ, რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ პონტამ კმაყოფილება გამოთქვა პრემიერ-მინისტრების რუმინეთში სტუმრობის გამო და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასადმი მხარდაჭერა.

„მიხარია, რომ აქ ვმასპინძლობ პრემიერ-მინისტრებს და ვუზიარებ ჩვენს გამოცდილებას. მალე ევროკავშირთან ასოცირებას მოეწერება ხელი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირისკენ გეზი უჭირავთ და ამ ქვეყნებში მაქსიმალურად დემოკრატიული რეფორმები ტარდება. ყოველთვის მხარს დავუჭერთ ამ ქვეყნებს. უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გადადიან უკრაინა, საქართველო და მოლდოვა და უფრო უახლოვდებიან ევროკავშირს“, — განაცხადა ვიქტორ პონტამ.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ალასანიამ ბრიტანულ-ქართული საზოგადოების მე-2 სემინარში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ კემბრიჯის უნივერსიტეტის ქლიარის კოლეჯში ბრიტანულ-ქართული საზოგადოების მე-2 ყოველწლიურ სემინარში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი პანელში „ევროპის უსაფრთხოების გამოწვევები: საქართველოს პერსპექტივები" სიტყვით გამოვიდა. მოხსენების დასაწყისში ირაკლი ალასანიამ საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებულ ორმხრივ თანამშრომლობაზე ისაუბრა. გამოსვლის მთავარი თემა იყო საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები და ქვეყნის პერსპექტივები სექტემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე. ირაკლი ალასანიამ საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. თავდაცვის მინისტრმა უკრაინის კრიზისზე და აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების გზებზე ისაუბრა.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების მიზნით გატარებულ და დაგეგმილ რეფორმებსაც შეეხო. მისი განცხადებით, უწყების მთავარი მიზანია ჩამოყალიბდეს ნატოსთან თავსებადი და პროფესიული არმია. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის უწყებამ გამჭვირვალობისა და სამოქალაქო კონტროლის გაზრდის კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. გამოსვლის ერთ-ერთი თემა იყო ასევე, ქართული კონტინგენტის მონაწილეობა ნატო-სა და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიებში.

„კემბრიჯში საქართველო-ბრიტანეთის საზოგადოების მიერ მოწყობილ დღევანდელ განხილვებში საქართველოს თემა განხილული იყო როგორც ევროპასა და ნატოსთან ინტეგრაციის კუთხითაც, ასევე, ორმხრივი ურთიერთობის ფორმატში ბრიტანელებთან. ჩვენ ძალიან ღიად ვისაუბრეთ იმაზე, თუ რამხელა კონტრიბუციას აკეთებს საქართველო ევროპულ და ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. მნიშვნელოვანია, რომ ნატო-მ და ევროკავშირმა ეს დააფასოს და შემდეგ სამიტზე რეალურად გადაიდგას ნაბიჯი საქართველოს უფრო დაახლოებისკენ. ჩვენ ვთვლით, რომ ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებში საქართველომ ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა. ასე თვლის დღეს დამსწრეების უმრავლესობა და დარწმუნებული ვარ, ეს აისახება ნატო-ს მომდევნო სამიტზე", — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ასევე დისკუსიაში „შავი ზღვის რეგიონი — საქართველოს, უკრაინისა და აღმოსავლეთ პარტნიორების პერსპექტივები". მან ევროპის უსაფრთხოებისთვის შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. გამოსვლისას მინისტრმა სამი ძირითადი ასპექტი გამოყო: რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, დემოკრატიული ღირებულებები და ევროატლანტიკური სტრუქტურების გაფართოება, ასევე რეგიონი, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრი.

პანელში საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ერთად გამომსვლელები იყვნენ გაერო-ს გენერალური მდივნის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, ელჩი დიტერ ბოდენი, დიდი ბრიტანეთის არმიის მე-11 ჯავშანსატანკო ბრიგადის მეთაური, გენერალი გარი ჯონსონი, გაერთიანებული სამეფოს ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, ბრიტანელი დიპლომატი ბრაიან ფოლი და პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალისტი აღმოსავლეთ ევროპაში, ენდრიუ ვილსონი.

„ჯი-ეიჩ-ენი"

თაკო ჩარკვიანის შოკისმომგვრელი წერილი

აი, არჩევნები დასრულდაა, მეორე ტურიც დაინიშნაა... აუ, ისეთი ამბავი ატყდა, ტელევიზორს რომ ვრთავ, „ბოი ბეზ პრავილ" მგონია, ანუ ჩხუბი წესების გარეშე. ცოტა ხნით არჩევნები იქით გადავდოთ და ბოლოდროინდელ მოვლენებს გადავხედოთ. უკვე კარგა ხანია, საზოგადოების გარკვეული ნაწილი გაგიჟდა — აბა, ხომ არ ვიტყვი, საზოგადოების დიდი ნაწილი გაგიჟდა-მეთქი. რა სისულელეა! ხომ გადამცემენ ანათემას, რას ამბობთ, როგორ ვიკადრებ, ჩვენი საზოგადოება ხომ ყველაზე ღირსეულია ამ ქვეყნად.

მეძავები, „გომიკები", პატრიოტები, ქალიშვილები, ვირიშვილები და ოქროს მაძიებლები — საქართველოო ღამაზო, სხვა საქართველო სად არის?!

ამას წინათ, ერთი პარტიის ლიდერი ქალბატონი გამოვიდა ტელევიზიით და თქვა, მერე რა, რომ ამდენი ხანი თაღლითურად ვიქცევი და 20 წელია, ადამიანებს ვატყუებ, რით აღარ დაგავიწყდათო, შედარებითია ყველაფერი და ნაცებს აღარ ვჯობივარო? მართლა ასე თქვა, ჩემი აქეთ გადმოხტომა რა სალაპარაკოა, აგერ, თქვენს პარტიაში მრავლად არიან „გადმომხტრებიო".

ყველაზე ცუდი კი ის არის ამაში, რომ ამ თაღლითურ ლოგიკაში არის რაღაც რაციონალური სიმართლის მარცვალი.

ცოტა ხნის წინ, საზოგადოება არჩევდა Facebook-ზე, ხელოვნური ბავშვები ანუ ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებული ბავშვები დასაშვებია თუ არა. იმ აზრამდეც კი მივიდნენ ზოგიერთები, ისეთ სიღრმეებში შევიდნენ Facebook-ზე, რომ ამ დაუნდობლობის ცოტა შემეშინდა კიდეც.

> **ამას წინათ, ერთი ჩემთვის და შეიძლება, ჩემი მკითხველისთვისაც ნაცნობი ქალბატონო მოვიდა ჩემთან და პეტიცია მომიტანა, ხელმოწერებს ვაგროვებთ პატრიოტი ქალები, ვისაც გული შეგვტკივა სამშობლოზე, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი აღდგესო (ჩემმა მეგობარმა, ერთმა ნიჭიერმა ადამიანმა მითხრა, ჩემთანაც იყვნენო). გავოცდი და ერთი კი ვკითხე ამ ქალბატონს, დავუშვათ, ჩვენ მოგიწერეთ ხელი, მერე, რა მექანიზმით უნდა აღადგინო-მეთქი, როგორ აკონტროლებ მაგ ამბავს-თქო. წარმოვიდგინე გაკონტროლების პროცესი და ცოტა გამეცინა. რომ მიხვდა, ვხუმრობდი, გამინაწყენდა, კარი გაიხურა და წავიდა, თან მითხრა, მე შენ ვერ გცნობ, შენ, ასეთ ტრადიციებზე გაზრდილ გოგოს, რა გჭირსო, — მითხრა ნაწყენმა. არაფერი ვუპასუხე, ერთი კი გავიფიქრე, რა მცდარი წარმოდგენა აქვს ამ საწყალს ტრადიციებზე-მეთქი.**

მერე ვნახე, ეს ქალი ძალზე აქტიურად იყო ჩართული სწორედ იმ პოლიტიკოსის აქტიურ მოღვაწეობაში, ზემოთ რომ ვსაუბრობდი. მივხვდი, სადაც იყო ძაღლის თავი დამარხული, მაგრამ ამოთხარე და იყავი, მერე, რა — ის დადის და ხელმონერებს აგროვებს. ისე, გამიხარდა: გავიგე, რომ ბევრი ვერ მოუგროვებია.

არა, მე კი ვხუმრობ ამის თაობაზე, მაგრამ ამას წინათ, ერთმა ისიც მითხრა, რა, ვითომ, ამერიკის შეერთებული შტატები თუ არსებობს, საბჭოთა კავშირი რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდაო, ჩვენ რა, ცუდად ვიყავით? ბოლო-ბოლო, ასეთს რას გვიშვრებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, ერთი ბოთლი კონიაკით და ჩურჩხელებით კი მოაგვარებდი საქმესო.

რა საქმეს აგვარებდა, არ ვიცი, ალბათ, აგვარებდა კიდეც, მაგრამ ერთი ვიცი, რომ მთლად კარგად ვერაა საქმე. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ დროს კამათის თავიც არ გაქვს ადამიანს, არ იცი, საიდან უნდა დაიწყო საუბარი — იქიდან, რომ შეახსენო, რომ გუბერნიად გვაქცია, მეფის ინსტიტუტი კი გაგვიუქმა თავის დროზე ჩვენმა ჩრდილმეზობელმა (შაჰ-აბასსაც კი არ გაუუქმებია მეფის ინსტიტუტი), თუ ის, რომ ასი ათასობით ამოგვწყვიტა ზუსტად მაშინ, 37 „მანათად" რომ დავფრინავდით, შუა რუსთაველზე აგვჩეხა, თუ აფხაზეთი, სამაჩაბლო რომ წაიღო ერთი ბოთლი კონიაკის, ჩურჩხელისა და ჩვენი ყოფილი დარტყმული პრეზიდენტის ნაცვლად!

თუ, უბრალოდ, უნდა გაჩუმდე ამ დროს და უნდა უთხრა, რომ უბრალოდ, იდიოტია, რომ ასე აზროვნებს, მაგრამ არ ვიცი, აქაც კითხვის ნიშნები მაქვს — არის კი ასე მოაზროვნე კაცი მხოლოდ იდიოტი, ხშირ შემთხვევაში — არ მგონია.

ტელევიზორიდან შემომესმა ჩემთვის ნაცნობი პოლიტლიდერის ხმა, რომელიც გაცხარებით ამტკიცებდა: მე თუ ამირჩევთ, ძალიან, ძალიან მკაცრი ვიქნები ჰომოსექსუალების მიმართო, ისეთი სასტიკი, რომ მეტი არ შეიძლებაო (ნეტა, რას უპირებს-მეთქი, გავიფიქრე). ამან ისევ პუტინზე ილაპარაკოს, მირჩევნია, ეგება, ქალაქის საწყალი ჰომოსექსუალები გადარჩნენ, — გავიფიქრე ჩემთვის, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

ამ პოლიტიკოსის გამოსვლა დამთავრდა და რას ვხედავ, ნაცების პარტიიდან თვალცრემლიანი არ გამოდის ვიღაც?! გვდევნიან, ხალხო და არჩევნებს აყალბებენო — ისე გულწრფელად წუხდა, რომ სულ დამავიწყდა, საძინებელში, პირდაპირ ლოგინში ამოდებული რომ გვქონდა სასმენი აპარატურა სრულიად საქართველოს და კინაღამ დასახმარებლად გავიქეცი, თან დააყოლა, შეცდომები და გადაცდომები ჩვენც გვქონდაო.

ყველაზე მეტად სიტყვა „გადაცდომამ" გამაღიზიანა და გამომიყვანა წყობიდან. ვიფიქრე, ნეტა, ეს უტიფარი გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, ქარდავას წამებით მკვლელობას შეცდომას უწოდებს თუ გადაცდომას-მეთქი. როგორი მოსასმენია სიტყვა „გადაცდომა" ამათი 9-წლიანი უტიფარი, მანიაკალური „გრიალის" შესაფასებლად.

ნაციონალური დემაგოგია მორჩა და ადგილობრივი არჩევნებიც მოვიდააა. ისე, სხვათა შორის, ერთი შემიძლია ვთქვა თამამად: ის, რომ ამ არჩევნებში მართლაც არის რაღაც უჩვეულო, ვგულისხმობ მეორე ტურს, კარგია, მართლაც, უფრო დემოკრატიულია. სხვა საკითხია, რატომ მოხდა, რა ეტკინა ხალხს, რა ეწყინა, რითი დაიღალა ხალხი და რა ვერ გათვალა მმართველმა გუნდმა. ერთი კი უდავოა — დემოკრატიულია. ამ ღირსებას ნუ დავუკარგავთ!

> **მე კამათს ვუყურებდი და რაო, რა ვთქვი, ღირსება? რა ხანია, ეს სიტყვა იმ კონტექსტში აღარ გამიგია, რა დატვირთვაც, მგონია, რომ აქვს. რა მშვენიერი სიტყვაა და როგორ ყველას მიავიწყდა, თუმცა მიავიწყდათ იმიტომ, რომ ძნელია, ალბათ, ღირსეულად იცხოვრო ან მცდელობა მაინც გქონდეს, ღირსეულად დამარცხდე, ან ღირსეულად გაიმარჯვო, ან ღირსეულად თამაშიდან გახვიდე, ან ბოდიში მოიხადო ღირსეულად ან, ბოლოს და ბოლოს, მოკვდე ღირსეულად!**

რამ გამახსენა არჩევნებთან ეს სიტყვა, მაგრამ ხომ იცი, ეტყობა, რაღაცას ნატრობ ადამიანი, ნატრობ ღირსეულ საზოგადოებას. არიან, განა, არ არიან ღირსეული ადამიანები, მაგრამ მეტს ნატრობ, მეტი გინდა, აი, ისეთ საზოგადოებას, რომელშიც თაღლითი პოლიტიკოსები ვეღარ გაბედავენ ქადაგებასა და სპეკულაციას, ტლიკინს ხან „ჰომოზე", ხან სარწმუნოებაზე, ცრუ ქადაგებას! მღვდელი მღვდელს ემსგავსება — მათ მაგივრად არ იქადაგებენ პოლიტიკოსები ღამის ეთერში! პოლიტიკოსი ხალხის მოსამსახურე იქნება, პირდაპირი მნიშვნელობით. თაღლითს თაღლითი ერქმევა, ქურდს ქურდი ერქმევა და არა პარტიის ლიდერი, მაგრამ მე ახლა ბევრი მოვინდომე, ამისთვის ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის თქმისა არ იყოს თუ, უკაცრავად, ჩვენი კულტურის მინისტრისა არ იყოს, გზა, რომელიც შორია.

დიახ, შორი გზა გვაქვს გასავლელი. ვიფიქროთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება ამ გზაზე და ბევრი ღირსეული ადამიანი შეგხვდება, თორემ გაჭირდა ცხოვრება!

ერთხელ, 2004 წელს, ერთ ჩემს პუბლიკაციაში მაშინ, როცა თითქმის ყველა დუმდა, სააკაშვილს მივწერე: მონებისა და ჰარამხანის ვარდების გეშინოდეთ, ბატონო პრეზიდენტო, სხვადასხვა ბაღჩა-ბაღებში ყვავილობას მიჩვეულნი არიან-მეთქი.

არ გაიგონა.

დასანანია...

არადა, მიჩვეულნი არიან...

ევაჭრება თუ არა მეორე ტურის წინ ბურჯანაძე „ოცნებას“

დაიშლება თუ არა ოპოზიციური ალიანსი, რაფომ ელის შემოდგომას და როგორ აპირებს ჯონდი ბაღათურია „ქართული ოცნების“ დამთავრებას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, ნინო ბურჯანაძის ალიანსის სახელით, „ქართულ ოცნებას“ „კანონიერ ექსცესებს“ ჰპირდება და საპროტესტო აქციებს აანონსებს. როგორ აპირებს „ოცნების“ ხელისუფლების დამთავრებას და დაუჭერს თუ არა მხარს ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურში ნაცმოძრაობას? — ვიდრე ამ თემებს შევეხებოდი, ჯონდი ბაღათურიამ პარტიის ერთ-ერთ წევრს ტელეფონზე ჰკითხა, ფრაქცია რომ შევავსოთ, ნაციონალებიდან ერთი კაცი ჩვენთან არ გადმოვაო...

— ასე აკომპლექტებთ ფრაქციებს, ბატონო ჯონდი?

— საუბარი ერთ-ერთ დამოუკიდებელ დეპუტატზე იყო, რომელიც წესიერი კაცია და ფრაქციის შექმნაში რატომ არ უნდა დავიხმაროთ?! მოღალატეებს არ ვიღებთ, უბრალოდ, დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც კარგი კაცია, სჯობს, ჩვენთან მოვიდეს, აბა, „ოცნებასთან“ ხომ არ მივა?! „ქართული ოცნების“ შიგნით რაღაც ახალი „ფრაქცია“ შეიქმნა, რომელსაც სათავეში კახა კალაძე, რესპუბლიკელები, პარტია „ოცნების“ ნაწილი და ნაციონალები უდგანან. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რეალურად, სწორედ ესენი იღებენ, ირაკლი ღარიბაშვილი კი პროცესებსმიღმა რჩება. ღარიბაშვილის მიმართ საკმაოდ დადებითად ვარ განწყობილი, ამიტომ ეს ამბავი არ მომწონს. ეს ე.წ. ფრაქცია პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებებს ცვლის! ეს დემოკრატია არ არის. დემოკრატია „დურუშნიკობასა“ და ორ სკამზე ერთდროულად ჯდომას არ ნიშნავს!

— რაკიღა იმ თემას განიხილავთ, როგორ შექმნათ ახალი ფრაქციები თქვენს მიერ მიღებული ხმების 10%-ით, ესე იგი, არჩევნების შედეგებს აღიარებთ. აბა, შემოდგომით რა ან რატომ უნდა გააპროტესტოთ და ისიც საინტერესოა, ემთხვევა თუ არა თქვენი და ნინო ბურჯანაძის პოზიციები?

— ჩვენ ვართ ერთად, კოალიციის შიგნით ბზარი არ არსებობს და ყველა განცხადებას, ჯერ კოალიციაში ვწყვეტთ. არ მესმის, სად დაინახეთ ჩვენს შორის განსხვავებული მიდგომა — რასაც ვამბობ, ამ საკითხებზე სრული თანხმობა გვაქვს.

— შემოდგომით აქციების მოწყობაც ერთობლივი პოზიციაა?

— ჯერ აქციები არ გამოგვიცხადებია. საარჩევნო ბარიერი ყველა ოლქში გადავლახეთ, ჩვენი ხალხი ყველგან შევიყვანეთ, 8 ოლქში მეორე ტური გვაქვს. სადაც ფრაქციისთვის საკმარისი წევრები გვყავს, უპრობლემოდ ვქმნით, სადაც წევრები არ გვყოფნის, ჩვენი რიგების შევსებას ვცდილობთ, თუმცა არჩევნების შედეგებს არ ვაღიარებთ — არჩევნები გაყალბდა და ხაზინის ქურდებმა ჩვენი ხმები მოიპარეს. მაგალითად, ლაგოდეხში არჩევნები გაყალბებულია და გვინდა, მეორე ტურის ჩატარებას მივაღწიოთ; ასევე ვცდილობთ, ქვეყნის მასშტაბით ხმები ხელმეორედ გადაითვალოს. დიახ, ასეთია ჩვენი გეგმები — პოლიტიკოსობა ნაზი სპორტი არ არის!

— გაყალბების ფაქტები თუ გაქვთ ან თქვენი რეალური პროცენტი იცით?

— ფაქტები, რა თქმა უნდა, გვაქვს... ჯერ ერთი, ხმის დამთვლელ კომისიებში ჩვენი კაცი არ გვყავდა: ხმებს „ოცნების“ 12 და ნაციონალების ერთი წევრი ითვლიდა, ამიტომ, როცა 3 ნომერი ამოდიოდა, ის ბიულეტენი, ავტომატურად, ნაციონალების, „ოცნების“ ან მათი რომელიმე „ტიტუშკის“ ყუთში მიდიოდა. არჩევნების ღამეს რამდენიმე უბანზე გავედი და ხმები ყველგან დამიმატეს, ზოგან 20, ზოგან 30, ერთგან კი 50-ც.

— რას ჰქვია, დაგიმატეს — რომ დაგინახეს, იმიტომ დაგიწერეს თუ მოპარული ბიულეტენები „გამოაჩინეს“?

— ჩვენი ბიულეტენები სხვის „პაჩკებში“ იყო გადადებული და უბრალოდ, უკან გადმოდეს. ოქმებში ეწერა, რომ მაგალითად, 100 ხმა ავიღეთ და, როცა კონკრეტულ უბნებზე მივედი, 120-ად გადაგვიკეთეს. ყველაფერ ამის დამადასტურებელი ფაქტები მაქვს. რა მექნა, ყველა უბანი ერთ ღამეში როგორ მომევლო. 3 700-ვე უბანზე რომ მივსულიყავი, 3 თვე მაინც დამჭირდებოდა. ხაზინის ქურდობას მიჩვეულმა ორმა ხელისუფლებამ კი არჩევნები ერთხმად გააყალბა. მეორე საკითხია, დაგვჭირდება თუ არა აქციების ჩატარება — თუ ჩვენთვის სასურველ შედეგს სამართლებრივი გზით ვერ მივაღწევთ, მაშინ კონსტიტუციურ ჩარჩოებში ყველა გზას, მათ შორის აქციებსაც მივმართავთ.

— ამას წინათ პირდაპირ მიანიშნეთ აქციების დაწყებაზე. თუ მართლა ადგილობრივი არჩევნების შედეგები უნდა გააპროტესტოთ და სხვა მიზანი არ გაქვთ, არჩევნებიდან 2 თვის მერე ამის გაკეთება, მგონი, სასაცილოა...

— ველი, შემოდგომით ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური გარემო იქნება, რაც ორგანიზებული, კანონიერი და კონსტიტუციური პროტესტის ნოყიერი ნიადაგი გახდება. პარლამენტში 65 ნუგზარ წიკლაური და 85 თინა ხიდაშელი ხალხს არ აურჩევია. ამ ორგანოს პოლიტიკური შემადგენლობა აბსოლუტურად არაადეკვატურია, რამაც ხალხის ნეგატიური განწყობა განაპირობა, რაც თვითმმართველობის არჩევნებში „ოცნება“-ნაციონალების ერთად და მხიარულად გამარჯვებამ უფრო დაამძიმა.

> **პასიური ხალხი, ვინც სახლში იჯდა და არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, გარეთ გამოვა და ძებნას ახალ ძალასა და ლიდერს დაუწყებს. ეს ძალა ჩვენი კოალიცია იქნება და მას შეიძლება, სხვა ძალებიც შეემატონ. აქციები იმიტომ კი არ გაიმართება, ორი გამგებლით მეტი გვყავდეს, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოების უკმაყოფილების მუხტმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და ხალხი ცვლილებებს ითხოვს! პირდაპირ გეუბნებით: შემოდგომით დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა დადგება!**

— მერე ამხელა საპროტესტო მუხტის სწორ კალაპოტში მოქცევას მოახერხებთ? გვინახავს ბურჯანაძის მიერ ორგანიზებული აქციები და არ მგონია, ვინმეს ამის გამეორების სურვილი ჰქონდეს!

— სწორედ ესაა ლიდერების ფუნქცია — პროტესტი სწორი მიმართულებით უნდა მივმართოთ და ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ 2011 წლის მაისის აქციები ცუდად იყო ორგანიზებული.

— 26 მაისს ხალხი დაიხოცა და ეს მარტო ნაციონალური მოძრაობის ბრალი არ იყო!

— ყავაზე ხომ არ ვიმარჩიელებთ, რა იქნება მომავალში? ფაქტია, ხალხის უკმაყოფილება იზრდება; მეტსაც გეტყვით, „ოცნების“ დღეები დათვლილია და ეს არჩევნების შედეგებმაც აჩვენა — არჩევნებზე თბილისში ხალხის 28% მოვიდა და აქედან ნახევარზე მეტმა ხელისუფლებას ხმა არ მისცა. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით, „ოცნების“ რეიტინგის დაცემაში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე და ამას მიზანმიმართულად ვაგრძელებ!

— მაინც, რა წვლილი შეიტანეთ ან „ოცნების“ რეიტინგის დაცემას როგორ „აგრძელებთ“?

— ძალიან ბევრი ვიშრომეთ, რათა ხალხს „ოცნების“ ნამდვილი სახე დაენახა. კარგად გამოჩნდა, რომ პრემიებსა და ჯიპებსდახამებული ხელისუფლება გვყავს და ამის ტირაჟირებას ხელი მაქსიმალურად შევუწყვეთ. მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის გაპარებასაც მთავრობა ცდილობდა, სწორედ ჩვენი მცდელობის შედეგად იქცა გახმაურებულ თემად. ყველაფერი გავაკეთე, ამ ნაგვის ტომრის მთელი სიმძიმე „ოცნების“ კისერზე დამეკიდებინა. ეს მიზანმიმართულად გავაკეთე და „ოცნების“ ლიდერებს ვუთხარი კიდეც, რომ ამის გამო, მათ ძვირი პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევდათ და ამის ფასად დაუჯდათ ამ არჩევნების შედეგიც. ქვეყანაში უნდა იყოს პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ არასტაბილურ გარემოში ვითარების დაჭერას შეძლებს; მეორე მხრივ, ეს ძალა ხელისუფლების დამსჯელიც უნდა გახდეს და ასეთად სწორედ ჩვენი ალიანსი მიმაჩნია. სამაგიეროდ, ვხედავ ჩვენს ხარვეზსაც — ის კი შევძელით, რომ ხალხს ხმა „ოცნებისთვის“ არ მიეცა, მაგრამ ვერ შევძელით, ეს ხმები ჩვენსკენ წამოსულიყო.

— სამაგიეროდ, ახლა ვრცელდება ხმა, რომ ნინო ბურჯანაძე „ოცნებასა“ და ნაციონალებთან იმაზე ვაჭრობს, მეორე ტურში თავისი 10%-ით მხარი ვის დაუჭიროს. საუბარია დიდ თანხაზე...

— ეს აბსოლუტურად გამორიცხულია, სისულელეა... როგორ გეკადრებათ! მსგავსი განცხადება დიდი შეურაცხყოფაა! „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა საქართველოს მტრები არიან და ჩვენთვის ორივე კატეგორიულად მიუღებელია. ნაციონალურმა მოძრაობამ მმართველობა ცოცხებით დაამთავრა, „ოცნებამ“ კი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით თქვა, რომ ეს ყველაფერი სწორი იყო.

— დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს გარეშე მოლაპარაკებები არ მიდის?

— ეს კიდევ უფრო გამორიცხულია, კოალიციაში ასეთი ურთიერთობა არ გვაქვს. ერთმანეთს საკმაოდ პრაგმატული თვალით ვუყურებთ და ერთობლივ პოლიტიკურ მომავალსაც ვხედავთ.

— ანუ საპარლამენტო არჩევნებშიც ერთად მიიღებთ მონაწილეობას?

— დიახ, რა თქმა უნდა! საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ისევ კოალიციის სახით მივიღებთ. დღეს ერთადერთი პოლიტიკური ძალა ვართ, რომელსაც ზრდის რესურსი აქვს. მართალია, ჯერ ამომრჩეველი ვერ დავარწმუნეთ, ჩვენთვის მეტი ხმა მოეცა, მაგრამ ვინც სახლში დარჩა, პოტენციურად, ისიც ჩვენი მომხრეა.

— სხვა ლიდერებიც, მაგალითად, კახა კუკავა და ირმა ინაშვილიც იგივეს ამბობენ.

— მართალია, შანსი მათაც აქვთ. საერთოდ, პატრიოტთა ალიანსს პოზიტიურად ვუყურებ, მათთან პირადად ვაწარმოებდი დიალოგს კოალიციაში შემოსვლაზე.

— რატომ წაართვით ერთმანეთს ხმები?

— ჩვენ კოლეგები და თანამებრძოლები ვართ და მათშიც ზრდის პოტენციალს ვხედავ. ჩვენს შორის არც მომავალ თანამშრომლობას გამოვრიცხავ, თუმცა ამ ეტაპზე ეს ერთობა სხვადასხვა მიზეზის გამო არ შედგა; მეტსაც გეტყვით, პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, კოალიციაში, თუ ამაზე საუბარი იქნება, დიდი სიამოვნებით დავეთანხმები გადაწყვეტილებას, მეორე ტურში მხარი პატრიოტთა ალიანსს დავუჭიროთ. ოღონდ ეს მარტო ჩემი აზრია და ჯერ კოალიციაში ამაზე არც გვიმსჯელია. ამ ეტაპზე, ზუსტად ვიცი, ჩვენი მხრიდან „ოცნების“ მხარდაჭერა ან მასთან ვაჭრობა დიდი და სამარცხვინო ტყუილია. დარწმუნებული ვარ, დეზინფორმაციას თავად „ოცნება“ ავრცელებს. ეს ძალა იქამდე დაეცა, უკვე ასეთ ქმედებებზე გადავიდა. ეს სამარცხვინო ჭორიკნობაა! ამომრჩეველს მოვუწოდებ, საერთოდ არ მივიდეს მეორე ტურზე „ოცნების“ მხარდასაჭერად! მას ყველამ ზურგი უნდა შეაქციოს. შემოდგომით სოციალური ფონი უფრო დამძიმდება, ქვეყნის ეკონომიკაც უფრო ღრმა კრიზისში შევა და ეს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას გაამწვავებს. ფონი არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შექმნის და ამ ვითარებას აუცილებლად გამოვიყენებთ. ერთსაც გეტყვით — აუცილებლად ვიქნები ნებისმიერი კანონიერი ექსცესის სათავეში ხელისუფლების წინააღმდეგ, საკანონმდებლო ორგანოშიც, საკრებულოშიც, ქუჩაშიც და სასამართლოზეც!

ვერსიანიუსი

აშშ-მ უკრაინელ სეპარატისტთა ლიდერებს სანქციები დაუწესა

აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა უკრაინელ სეპარატისტთა შვიდ ლიდერს სანქციები დაუწესა, რაც ფინანსური ანგარიშების გაყინვასა და მათ კომპანიებთან კონტაქტების დამყარების აკრძალვას გულისხმობს.

„სახაზინო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ახალი სანქციები შვიდი სეპარატისტი ლიდერის წინააღმდეგ. ყველა უკრაინელია, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტთა მიერ განხორციელებულ ქმედებებში“, — ნათქვამია აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, გასულ კვირას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის თანაშემწემ ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ აშშ-სა და ევროკავშირს შორის არსებობს შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რა სახის იქნება ანტირუსული სანქციების მომდევნო რაუნდი, თუკი საქმე აქამდე მივა.

„ინტერპრესნიუსი“

სამართალდამცავებმა ქრთამის აღების ფაქტზე მერიის თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელი თამარ ჭანტურია.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თამარ ჭანტურიამ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, მოქალაქეს მშენებლობის კოეფიციენტის მაქსიმალურად გაზრდის ნებართვის გაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა 30 000 აშშ დოლარი და წინასწარ აიღო მისგან 10 000 აშშ დოლარი.

გამოძიება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო.

„ვერსიანიუსი“

„ოცნება“ საკუთარი თავისთვის წამგებიან ნაბიჯებს დგამს, მაგრამ სახელმწიფოს აძლიერებს!“

ეკა ბესელია ხალხში გაჩენილ კითხვებს პასუხობს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

გამხაურებული საქმეები ისევ გამოუძიებელია, კიდევ უფრო დამძიმებულია სოციალური ფონი და ამ გამოწვევებს „ოცნება“ საჯარო სამსახურებში ხუთნიშნა პრემიების დარიგებითა თუ ახალი ჯიპების ყიდვით პასუხობს. მეტიც, „ნაციონალური მაიდნისა“ და არჩევნების მეორე ტურის მოლოდინში, მთავრობა ოპონენტებს მორატორიუმს უცხადებს, რაც ხელისუფლების მიმართ ხალხის განწყობას კიდევ უფრო ამძიმებს. „ვერსიის“ ექსკლუზიურ ინტერვიუში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია საზოგადოების მთავარ კითხვებს პასუხობს.

— ქალბატონო ეკა, უკვე მეორედ, ხელისუფლება გოგა ხაჩიძის სატელეფონო ზარის გამო, უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ნაციონალური მოძრაობის ორი ლიდერი, ჯაფარიძე-ნადირაშვილი კი თქვენს ელჩს უჩივის. რა მოხდა რეალურად აზერბაიჯანში?

— არ მჯერა იმ ვერსიისა, რასაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერები გვთავაზობენ. ამ სცენარში გოგა ხაჩიძის შემოყვანა იმ ისტორიას ჰგავს, რომელიც ცოტას ხნის წინ, პრემიერის სახლთან აქციის მოწყობაზე ვიხილეთ, თუმცა ოპონენტებს ამჯერად იმპროვიზაციის უნარმა უმტყუნა. მჯერა არა ნადირაშვილის ან ჯაფარიძისა, არამედ, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩისა, რომელმაც თქვა, რომ ორივე დეპუტატს ნამდვილად ჰქონდა თანხა. ეს იყო არადეკლარირებული მილიონი დოლარი, რაც აზერბაიჯანელი მებაჟეების დაინტერესების საგანი გახდა, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევას კონტექსტიდან ამოგლეჯილად არ ვუყურებ: საარჩევნო კამპანია მიდის, წინ მეორე ტურია, ცოტა ხნის წინ, სააკაშვილმა განაცხადა, რომ კეზერაშვილი მისი პარტიის ყველაზე დიდი დამფინანსებელია და ამის შესახებ საფრანგეთში წერილიც გაგზავნა. დააკავეს გიგი უგულავას ქვისლი ღონიაშვილი, რომელსაც დიდი რაოდენობის თანხა აღმოაჩნდა.

— საუბარი იქეთ მიგყავთ, რომ რაღაც პროცესისთვის თანხების მობილიზება ხდება?

— ასეა და ეს ან წინასაარჩევნოდ კეთდება ან რაღაც სხვა სცენარია. გავიხსენოთ ის განცხადებებიც, რომ ვიღაცას უკრაინული მაიდნის გამეორება სურს საქართველოში, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ ხელისუფლებაში სწორედ რევოლუციური სცენარით დაბრუნდება... ბუნებრივია, საქმე სახელმწიფო უსაფრთხოებას ეხება, თან საუბარი იმ პოლიტიკურ ძალაზეა, რომელსაც მიზნის მისაღწევად ყველაფერი გამართლებულად მიაჩნია. ასეთ ვითარებაში ბევრი ლეგიტიმური და მძიმე კითხვა ჩნდება.

— მერე, შესაბამის უწყებებს ე.წ. ნაციონალური მაიდნის წინააღმდეგ კონტრგეგმა აქვთ?

— ბუნებრივია, სახელმწიფომ ამაზე უნდა იფიქროს. არც ერთი შემთხვევა, რასაც ჩვენი მხრიდან რამე განცხადება მოჰყვა, ცრუ განგაში არ ყოფილა. გაცილებით მძიმეა ჩვენამდე მოსული ინფორმაცია, ვიდრე ის განცხადებები, რაც ოფიციალურად კეთდება. სახელმწიფოს აქვს რესურსიც, გეგმაც და სტრატეგიაც, როგორ დაიცვას ქვეყნის უსაფრთხოება და არა — საკუთარი პოლიტიკური გუნდი, თუმცა ამაზე საჯაროდ დეტალებე ვერ ვისაუბრებთ.

— ბოლო პერიოდის ყველაზე აქტუალური თემა მაინც არჩევნებია: მექანიკური შეცდომებით დაკლებული ხმები ნიკა მელიას, არეულობა მარნეულსა და გარდაბანში, საარჩევნო კოდექსი, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელ კანდიდატებს მერად კენჭისყრის უფლება ჩამოართვით... წლევანდელი არჩევნებით კმაყოფილი ხართ?

— ეს არჩევნები წინგადადგმული ნაბიჯი, საარჩევნო კოდექსი კი წინაზე ბევრად უკეთესია. უმაღლესი შეფასება მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებმა, მაგრამ მაშინ სულ რამდენიმე კანდიდატი იყო, ადგილობრივ არჩევნებზე კი — 16 000. ამიტომ 2014 წლის არჩევნები, მინიმუმ, 16 000-ჯერ უფრო რთულად ჩასატარებელია. ესაა მომხდარი ექსცესების მიზეზიც. მეორე ტური კი იმის ნიშანია, რომ ხელისუფლებას არჩევნები არ გაუყალბებია. ეს დემოკრატიისთვის გაღებული მსხვერპლია. საქართველოს მომავალს წაადგება ასეთი დემოკრატიული არჩევნები. პოლიტიკური ძალა, რომელიც საკუთარ თავში დარწმუნებული არაა ან შედეგების გაყალბება სწადია, 50%-იან ბარიერს არ დააწესებდა.

— იქნებ, მეორე ტური იმიტომ დაინიშნა, რომ თქვენი რეიტინგი დაეცა და არა იმიტომ, რომ არჩევნები არ გაგიყალბებიათ?

— 1149 მანდატიდან ნაციონალურმა მოძრაობამ 64 მიიღო და არცერთ თვითმმართველ ქალაქში მაჟორიტარული მანდატი არ მოუგია. ამ საერთო ყულაბაში მათი ხვედრითი წილი ძალიან დაბალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ნაციონალური მოძრაობა რადარიდან მართლა ქრება. ადგილებზე, ბევრგან, სწორედ დამოუკიდებელი კანდიდატები გავიდნენ და ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი ახალ პერსონებს ეძებს.

— ამ დროს თქვენი ყოფილი მეგობრები — კუკავა, ბურჯანაძე, ბაღათურია ამტკიცებენ, რომ არჩევნები ძველმა და ახალმა ხელისუფლებამ ერთად გააყალბეთ. სწორედ არასაპარლამენტო ოპოზიცია იწყებს აქციებს შემოდგომით...

— ეს შეფასება სრულიად არასერიოზულია და კომენტარს არ გავაკეთებ. ნაცმოძრაობა ამბობს, რომ პარლამენტში 40%-იანი მხარდაჭერა აქვს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დღეს მანდატების მხოლოდ 6 %-ს იღებს. ეს უკვე ნიშნავს რადარებიდან გაქრობას. პულსი ჯერ ესინჯება, მაგრამ ცოტა ხანში საკუთარ თავს ამ პულსსაც ველარ უპოვის. ახლა „ოცნების“ რეიტინგს შევხედოთ — ხელისუფლებას რეიტინგი არასოდეს ემატება, პირიქით, ყოველთვის აკლდება და ასეთია პოლიტიკის ლოგიკა.

— რეიტინგი იმაზე მალე დაკარგეთ, ვიდრე ნაციონალურმა მოძრაობამ. რატომ?

— ამასაც თავისი ახსნა აქვს — „ოცნების“ მიმართ მოლოდინი ძალიან მაღალი იყო. ეს ქართული ხასიათის ბრალიცაა: ემოციურები, სამხრეთული ტემპერამენტის ხალხი ვართ, შედეგი რაც შეიძლება ჩქარა გვინდა. ხელისუფლებაში იმის განცდა არცერთს არ გვაქვს, რომ რაც უნდა გაგვეკეთებინა, ყველაფერი გავაკეთეთ, თუმცა ბევრი რამ გაკეთდა — გავათავისუფლეთ პოლიტიკური მძევლები, გამოვაცხადეთ ამნისტია, დავიწყეთ კანონების ლიბერალიზება. მეორე ეტაპი იყო საქმეების გამოძიება — შს ყოფილი მინისტრი ციხეში ზის, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ციხეში ზის, კუდ-ის უფროსი ციხეში ზის, იუსტიციის ექსმინისტრი ბრალდებული და გაქცეულია, გაქცეულია კუდ-ის უფროსიც, ასეულობით საქმეა გამოძიებაში, პოლიტიკური ოპონენტები გვეუბნებიან, რომ ვდევნით, ხალხი კი გვეუბნება, ნაციონალებს ამდენს რატომ ალაპარაკებთო.

— და ამ დროს რას აკეთებთ — ირიგებთ პრემიებსა და ყიდულობთ ჯიპებს.

— პარლამენტში პრემიები ავკრძალეთ და ამით მაგალითი მივეცით სხვებსაც. ჩვენ, დეპუტატები, პრემიებს არ ვიღებთ და არც მინისტრები ირიგებენ პრემიებს... დღეს ქვეყანას იმის ფუფუნება არ აქვს, საჯარო მოხელემ თავის თავს პრემიები უწეროს. ესაა ხელისუფლების პოზიცია, მაგრამ კანონი პრემიებს არ კრძალავს. ბევრს ისიც ჰგონია, რომ პარლამენტს საკრებულოსთვის პრემიების დარიგების აკრძალვა შეუძლია, მაგრამ კანონით ასე არ არის... ამ ვითარებაში არავის ვამართლებ, პირიქით, ვფიქრობ, რომ ეს ცუდი და არასწორია. როგორც ჩანს, ამ მხრივ კანონში ჩადებული რეგულაციები არასაკმარისია, ამიტომ, პრემიერის დავალებით, თვის ბოლოს მზადდება კანონპროექტი, რომლითაც პრემიის გაცემის სტანდარტები მთლიანად დარეგულირდება ანუ დადგინდება პრემიის გაცემის კრიტერიუმები და ზედა ზღვარი. ეს კანონპროექტი, დაახლოებით, ორ კვირაში მზად იქნება.

— მანამდე იმ ცნობილ საქმეებზე გკითხავთ, რომელთა გამოძიებაც დაწყებულია — ჟვანია, გვირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე, აფრასიძეები და ა.შ. დაუშვით გამონაკლისი და იყავით „ოცნების“ მთავრობაში პირველი, ვისაც კონკრეტული პასუხი აქვს: რატომ არავინ ისჯება?

— თავიდანვე გეტყვით, რომ მეც ხალხის განწყობას ვიზიარებ და ისევე მოუთმენლად ველი სამართლიანობის აღსრულებას, როგორც ისინი, ვინც ჩემსავით პირადი ტრაგედია გადაიტანა. ჩემი ოჯახის წევრებიც ნაციონალების მიერ გამოტანილი პოლიტიკური განაჩენით დადიან და ჩემი საჩივრებიც განხილვის პროცესშია ზუსტად ისე, როგორც დანარჩენი საქმეები, თუმცა იურისტი ვარ და ვიცი, ამას დიდი დრო სჭირდება. 26 მაისის საქმეზე გამოძიება დაიწყო და ვანო მერაბიშვილს ბრალი წარედგინა, გირგვლიანის საქმის ხელახალი გამოძიება დაწყებულია, რობაქიძის საქმის გადახედვაც დაიწყო და ახალი ბრალეულობები გამოიკვეთა, მაგრამ ეს პროცესი ბოლომდეა მისაყვანი, ასევეა ვაზაგაშვილის საქმეც. ჟვანიას საქმეზე ვიცი, რომ გამოძიება ინტენსიურად მიდის, თუმცა ძალიან ბევრი მტკიცებულება გაყალბებულია. გაიხსნა რამდენიმე გახმაურებული საქმეც, მათ შორის, ნავთლუღის სპეცოპერაცია, ქარდავას მკვლელობა, ცინდელიანის საქმე.

— ამ პასუხში საზოგადოებისთვის ახალი არაფერია, ხალხი ძველი მოსამართლეებისა და პროკურორების გაშვებას ითხოვს!

— მესმის ეს წუხილი, მოსამართლეების დათხოვნის იმ გზას ვერ ავირჩევთ, რომლითაც მიხეილ სააკაშვილმა იარა. მან სასამართლო სისტემა საკუთარ პოლიტიკურ გუნდს სრულად დაუქვემდებარა. ის არ იყო სასამართლო ხელისუფლება, რაც 9 წელი ხდებოდა. პოლიტიკური განაჩენები, უსამართლო განაჩენები, ვაჭრობა საპროცესო შეთანხმებებზე, აღიარება წამების შედეგად... ყველაფერი ეს სასამართლოს ხელით კანონდებოდა. რასაკვირველია, ასეთ სასამართლო სისტემას ნდობა ვერ ექნება, მაგრამ, თუ ჩვენი ხელისუფლება დაიწყებდა სასამართლო სისტემის მონოპოლიზებას, იგივე სისტემას მივიღებდით. რეფორმა დაიწყო და სასამართლოზე ზეწოლა ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს. სხვა საკითხია, იგივე მოსამართლეები მაგალითად, დარახველიძის ან მარინა იმერლიშვილის მსგავსი, ვის ემსახურებიან — სამართალსა თუ პიროვნებებს? ვფიქრობ, იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებლობა მთავარი ინსტრუმენტია, მოსამართლეების მიერ ჩადენილი დარღვევები იყოს შესწავლილი. პროკურატურა, რომელიც ბოლო თვეები აქტიური იყო და რამდენჯერმე მნიშვნელოვანი საქმე გახსნა, მორატორიუმის შემდეგ ამ ტემპს გააგრძელებს და აქტიურად იმუშავებს იმ ასობით საჩივარზე რომელიც შემოვიდა ჩემთან კომიტეტში, პროკურატურაში.

— ცალკე თემაა პოლიტიკური მორატორიუმი, რომელიც, რეალურად, ნაციონალებს გამოუცხადეთ. ეს ხალხის დაკვეთაა, „ოცნების“ გადაწყვეტილება თუ დასავლური კონიუნქტურა?

— ეს ხელისუფლება ქვეყნის გაძლიერებაზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე — საკუთარი გუნდისა. მარტო ჩვენს პოლიტიკურ ინტერესებს რომ ვუყურებდეთ, სხვა ნაბიჯებს გადავდგამდით. „ოცნება“ დღეს საკუთარი თავისთვის წამგებიან ნაბიჯებს დგამს, მაგრამ სახელმწიფოს აძლიერებს. მესმის, მორატორიუმი ყველას აღიზიანებს, მაგრამ განსხვავებულად სააკაშვილი იქცეოდა, როცა 2012 წელს ჩვენზე ქუჩებში ნადირობდნენ.

— დღესაც არანაკლები ნადირობაა ქუჩებში. თქვენთვის, როგორც ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარისთვის, მისაღებია „ნოშიკოების“ მიერ ადამიანების ქუჩაში ცემა და ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერი ლიდერისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება?

— ეს ძალიან ცუდია და მთლიანობაში, ყველაფერი, რაც ცუდია, ხელისუფლების ბრალია, თუმცა ყველაფერს აქვს ახსნა. ვითარებას მიზეზშედეგობრივი კავშირის ჭრილში უნდა შევხედოთ.

— რა არის იმის მიზეზი, რომ ნაციონალების მიმოფანტული ლიდერების ექსტრადირება ვერ ხერხდება. ისინი კი, ვინც 2012 წელს ქუჩებში დაგდევდათ და გაყადაღებდათ, მაგალითად, ლევან ბეჟაშვილი პარლამენტში, გვერდით გიზით, მეორე ნაციონალი ლაშა თორდია, რომელიც ადრე თქვენს პოსტს იკავებდა, ახლა ქვეყნის მთავარი აუდიტორია. ეს ვითარება რომ შეცვალოთ, იურიდიულ გზას ვერ პოულობთ?!

— სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა დასკვნა დაწერა და რეაგირებისთვის პროკურატურას გაუგზავნა. მთელ ამ სიტუაციას მივეცით შეფასება, ანალიზი, პროკურატურას მივეცით რეკომენდაციები, დაიწყო გამოძიება. მარტო მე 18 000-ზე მეტი განცხადება და საჩივარი მივიღე. დღეს სასამართლო უკვე სხვა სტანდარტებს ითხოვს, პროკურატურასაც აქვს ვალდებულება, მტკიცებულებებით გამყარებული საქმეები გააგზავნოს სასამართლოში. სხვაგვარად, ისეთი შედეგები დადგება, რაც კიდევ უფრო დიდ იმედგაცრუებას გამოიწვევს. კარგად ვხედავ, რომ მთელი ხელისუფლების ტვირთი სამართალდამცავ და საგამოძიებო ორგანოებს აწევთ.

დასასრული მე-7 გვერდზე

ვერსიანიუსი

გორში „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით 6 ადამიანი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულები არიან: 1990 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი მ, 1964 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გოგი კ, 1972 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კობა გ, 1986 წელს დაბადებული ნიკოლოზ მ, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რამაზ დ. და 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ოთარ ჯ. სამართალდამცველებმა გიორგი მ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 30 ვაზნა, გოგი კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 8 ვაზნით, ცეცხლსასროლი თოფი „ვინჩესტერი“ 26 ვაზნით და 10 000 აშშ დოლარი, კობა გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – „მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 8 ვაზნა და 1 ცალი ხელყუმბარა, ნიკოლოზ მ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – ჩანაწერებიანი ბლოკნოტი (ე.წ. ტყავი) და ე.წ. საერთოს თანხა 12 260 ლარის ოდენობით, ხოლო ოთარ ჯ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ჩანაწერებიანი ბლოკნოტი (ე.წ. ტყავი) და ე.წ. საერთოს თანხა 210 ლარის ოდენობით ამოიღეს. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ინტერპრესნიუსი“

როგორ უნდა გაუიდონ მეორე ტურში მერობის კანდიდატებმა საკუთარი თავი სარფიანად

პოლიტმარკეტინგული რჩევები „მეორეტურედებისთვის“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

არჩევნები, როგორც პოლიტიკური ბაზარი; კანდიდატები, როგორც პოლიტბაზრის ძირითადი პროდუქტი; ამომრჩეველი, როგორც პოლიტმომხმარებელი და წინასაარჩევნო კამპანია, როგორც პოლიტიკური ვაჭრობის ძირითადი ატრიბუტი... მართალია, 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დამთავრდა, მაგრამ დაძაბული და საკმაოდ ცხელი პოლიტვაჭრობა გველის — 8 თვითმმართველ ქალაქში მერობის კანდიდატებს შორის მეორე ტური უნდა გაიმართოს. თბილისში, რუსთავში, თელავსა და ბათუმში ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები, მცხეთაში — „ქართული ოცნებისა“ და „ნინო ბურჯანაძე — გაერთიანებული ოპოზიციის“, გორში „ქართული ოცნებისა“ და ირაკლი ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“, ოზურგეთსა და ფოთში კი — „ქართული ოცნებისა“ და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის კანდიდატები შეებრძოლებიან. რომელმა პოლიტპროდუქტმა რა ნიშა უნდა დაიკავოს პოლიტბაზრის დახლზე, მარკეტინგულად ისინი ისე როგორ უნდა „შევფუთოთ“, რომ მეორე ტურის წინ, პოლიტმომხმარებელი იძულებული გახდეს და პოლიტბაზრის დახლიდან სწორედ ის პროდუქტი ჩამოხსნას ანუ საარჩევნო ბიულეტენში ის კანდიდატი შემოხაზოს, რომელიც ყველაზე მეტად მისაღებია?

15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ამომრჩევლის უპრეცედენტოდ დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზს შორის, ასეთი შედეგი მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამებში უხვად არსებულმა აბსურდულმა და, ხშირ შემთხვევაში, შეუსრულებელმა დაპირებებმაც განაპირობა. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ წინასაარჩევნო „ბოლი“, რომელიც კანდიდატებმა გამოუშვეს, მათი პროგრამების ეკონომიკურ ნაწილში გვხვდებოდა და კანდიდატები იმ ფუნქციებშიც შეიჭრნენ, რაც მუნიციპალური მმართველობის ჩარჩოებს გასცდა. შედეგად, მეტ-ნაკლებად მშვიდ ვითარებაში ჩატარებული არჩევნები მივიღეთ, სადაც წინასაარჩევნო დაპირებების მიუხედავად, პოლიტმომხმარებელი აღარ „დაბოლდა“ და ისეთი არჩევანი გააკეთა, მეორე ტურის აუცილებლობა დადგა. 15 ივნისის არჩევნებმა მარკეტინგული თვალსაზრისითაც საინტერესო შედეგი გვიჩვენა: პოლიტბაზარზე კონკურენცია გაიზარდა, დახლზე კი „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის გარდა, სხვა ალტერნატიული პოლიტპროდუქტიც გამოჩნდა:

ლევან კობერიძე, ბრენდსტრატეგიის კომპანია „ბრენდინგ. გე“-ს დირექტორი:

„თუ ამ კონკურენციას მარკეტინგული თვალსაზრისით შევაფასებთ, ტონისმიმცემი და ლიდერი სუბიექტი, რეალურად, „ქართული ოცნებაა“, დანარჩენები მისი კონკურენტები არიან. მართალია, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, საკუთარი თავი ძირითად კონკურენტად წარმოაჩინოს, მაგრამ ამაში დამოუკიდებელი საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატები ეცილებიან. მარკეტინგული თვალსაზრისით, პოლიტიკური კონკურენციის დროს, კონკურენტის დისკრედიტაციის პოლიტიკა წამგებიანია. სხვათა შორის, ეს სხვადასხვა კანდიდატსა და ყველა პარტიას ეხება, რადგან ისინი ძირითად აქცენტს კონკურენტის დისკრედიტაციაზე აკეთებდნენ. არადა, საქართველოში ამომრჩეველიც მომწიფდა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველმა ტურმაც დაგვანახა, რომ ეს წამგებიანი თამაშია. მარკეტინგულად, გაცილებით სწორი იქნება, ყველა პარტიამ საკუთარი ნიშა დაიკავოს. რაც შეეხება ლიდერს, სასურველი იქნება, ყურადღება შორსმიმავალ ხედვაზე გამახვილდეს და ლიდერი მომავლის ხედვაზე გვესაუბროს. ზოგადად, ლიდერებს იმიტომ მივყვებით, გვინდა გვჯეროდეს, რომ საერთო მიზნამდე სწორედ ისინი მიგვიყვანენ. ამაზე კონცენტრაცია უფრო საჭირო იქნება მეორე ტურში, რათა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან მისვლის სურვილით აენთოს. როგორც ხედავთ, პირველი ტურის მთავარი პრობლემა დაბალი აქტივობა იყო“.

რა ტიპის სოციალურ-ეკონომიკური დაპირებები უნდა მოვისმინოთ მეორე ტურში პოლიტსუბიექტებისგან? რა ნიშა უნდა დაიკავოს პოლიტბაზარზე ამა თუ იმ პოლიტპროდუქტმა? — „ვერსიასთან“ საუბრისას ლევან კობერიძე აცხადებს, რომ დღევანდელი პოლიტბაზარი ნაკლებად მანიპულირებადია და ქართველი პოლიტმომხმარებელიც საკმაოდ გაიზარდა — მხოლოდ წინასაარჩევნოდ გაჟღერებულ ლოზუნგებს აღარ ენდობა, ამომრჩეველი, ამა თუ იმ პარტიის საქმიანობას მთელი წინა პერიოდის განმავლობაში აკვირდება და გადაწყვეტილებასაც ამის მიხედვით იღებს. თუ ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში, პოლიტმომხმარებელმა გადაწყვეტილება ამ პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის მიხედვით მიიღო და დაბალი კომუნალური გადასახადებისა და მგზავრობის ღირებულების გაიაფების ანკესს აღარ წამოეგო, დამოუკიდებელი კანდიდატის, ალეკო ელისაშვილის გამარჯვება სრულიად განსხვავებული „ქეისია“, რომელზეც პოლიტტექნოლოგიების სპეციალისტებმა სერიოზულად უნდა იმსჯელონ.

„რეალურად, ალეკო ელისაშვილი ის ადამიანია, რომელიც თავისი მოღვაწეობის განმავლობაში, სიმართლეს ამბობდა, შესაბამისად, ამომრჩეველმა ყველაფერი ეს დაუფასა და პირველ ტურშიც დამაჯერებლად გაიმარჯვა. ამომრჩევლის დაბალი აქტივობის მიუხედავად, „ქართულ ოცნებას“ ჯერ კიდევ ლიდერის პოზიცია აქვს და ეს შედეგებიდანაც ჩანს — 8 თვითმმართველ ქალაქში სწორედ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები არიან პირველ პოზიციაზე. მმართველი პარტიის ლიდერობა იმან განაპირობა, რომ მოსახლეობა „ოცნებას“ ჯერ კიდევ იმის გამო ენდობა, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე მოხდა ქვეყანაში. დღევანდელ პოლიტიკურ კონკურენციაში, ძნელია, პოლიტმომხმარებელი მხოლოდ წინასაარჩევნო „ბოლით“ გადაიბირო. პოლიტიკური პარტიები უნდა მიეჩვიონ, რომ ამომრჩეველთან მათი კომუნიკაცია მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდით არ შემოიფარგლება — ამომრჩეველი უკვე არჩევნებიდან არჩევნებამდე, პოლიტიკოსების გამონათქვამებსაც აანალიზებს და გადაწყვეტილებას ასე იღებს“, — ამბობს ლევან კობერიძე.

რამ განაპირობა ნინო ბურჯანაძის კანდიდატის გამარჯვება ერთ თვითმმართველ, პატრიოტთა ალიანსის კანდიდატის კი ორ თვითმმართველ ქალაქში გამარჯვება? თუკი ამომრჩეველი პოლიტსუბიექტს განვლილი წლების მიხედვითაც აფასებს, ნინო ბურჯანაძის მცირე ვადით ორგზის პრეზიდენტობა, მისი სიახლოვე პოლიტიკური ეშელონების სათავეებთან როგორ გამორჩა? ან რატომ ენდო ირმა ინაშვილს, რომელიც სოციალურად დაუცველ თბილისელებს ბინების უფასოდ გადაცემას, უფასო ტანსაცმელს, უფასო მგზავრობას და უფასო კვებას პირდებოდა? „ვერსიასთან“ საუბრისას ლევან კობერიძე აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძე საკმაოდ თამამად და დამაჯერებლად აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს, არ ერიდება და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას უკომპრომისოდ ცდილობს. ლევან კობერიძის შეფასებითვე, ბურჯანაძის მთავარი შეცდომა ის არის, რომ პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ლიდერ პოლიტიკურ ძალაზე თავდასხმით ცდილობს. ცხადია, პოლიტსუბიექტებმა კონკურენტების ნეგატივზეც უნდა გაამახვილონ ყურადღება, მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიის ლაიტმოტივი კონკურენტის ლანძღვა არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, პოლიტმომხმარებელზე ასეთი იაფფასიანი „პოლიტტრიუკები“ აღარ ჭრის და კარგი იქნება, თუკი ალეკო ელისაშვილის მსგავსად, სხვა პარტიების წარმომადგენლებიც მხოლოდ საქმეზე ისაუბრებენ:

„რაც შეეხება ირმა ინაშვილის დამაჯერებელ გამარჯვებას პირველ ტურში, ცხადია, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს საკუთარი ამომრჩეველი ჰყავს. საკმაოდ კარგადაა გამოკვეთილი ამომრჩევლის ის სეგმენტი, რომელსაც არც მმართველი გუნდი მოსწონს, არც მანამდე არსებულ პოლიტიკურ მმართველობას ეტრფის და არც ბურჯანაძის გუნდია მისაღები. შესაბამისად, ეს ჯგუფი ალტერნატივას ეძებს და ირმა ინაშვილის სახით, მიაგნო კიდეც, რომელიც საკმაოდ გაბედულად აკრიტიკებს, როგორც „ქართულ ოცნებას“, ასევე სხვა პოლიტიკურ ძალებს. მართალია, ირმა ინაშვილმა პირველ ტურში გაიმარჯვა, რაც ახალბედა პოლიტიკური ჯგუფისთვისაა დამაჯერებელი, თორემ ისეთი ეფემერული დაპირებები რომ არ ჰქონოდა, როგორიც უფასო ბინები და ტანსაცმელია, ვფიქრობ, გაცილებით მაღალ რეიტინგს მოიპოვებდა. მთლიანობაში, რაც მეტი ასეთი პოლიტიკური ჯგუფი იქნება, პოლიტიკური ბრძოლის ტექნოლოგიებიც უფრო დაიხვეწება და ამომრჩეველსაც მეტი შესაძლებლობა ექნება, პოლიტიკური სუბიექტები ერთმანეთისგან გამოარჩიოს. თუ დააკვირდებით, წინასაარჩევნო დაპირებებში ერთი და იგივე თემა მეორდება ხოლმე. ცხადია, ყველას უნდა, თბილისი სუფთა და განათებული იყოს, დაბინძურებული და ჩაბნელებული დედაქალაქი არავის უნდა, ამიტომ მთავარი იდეები ხშირად ემთხვევა, მაგრამ პოლიტიკურმა სუბიექტებმა უნდა მოახერხონ და განსხვავებულ, პოლიტიკურ დეტალებს მიაგნონ. საქართველოს პოლიტბაზარზე დღეს ყველაზე კარგად გაყიდვადი თემა შორსმიმავალი ხედვაა, რასაც პოლიტიკური ჯგუფები იშვიათად მიმართავენ. არადა, ადამიანებს იმის დანახვა უნდათ, თუ საით მიჰყავთ პოლიტიკოსებს ქვეყანა. კონკრეტულ კანდიდატს მხოლოდ იმიტომ არ ვაძლევთ ხმას, რომ კონკურენტი ლანძღოს — ამას ისედაც ახერხებენ პოლიტიკოსები, რადგან ერთმანეთის კრიტიკა პოლიტიკური კონკურენციის ბრძოლის წესია და ამას არჩევნები არ სჭირდება. წინასაარჩევნოდ ისეთი პოლიტიკოსების მოსმენა გვინდა, რომლებიც საკუთარ პოლიტიკურ ხედვებს გაგვიზიარებენ“.

15 ივნისის არჩევნების პირველ ტურის შედეგების მიხედვით, პოლიტმომხმარებელს „ქართული ოცნების“ ხედვა უფრო მოსწონს, რადგან რვავე თვითმმართველ ქალაქში, მერობის კანდიდატებს შორის, პირველ ადგილზე, სწორედ „ოცნების“ წარმომადგენლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ საშუალებით, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ნაციონალური მოძრაობის 9-წლიან მმართველობას წერტილი დაუსვა, პოლიტმომხმარებელს მაინც ამ ორი პარტიის პოლიტიკური ხედვა მოსწონს. ლევან კობერიძე ამ მოსაზრებას არ იზიარებს და „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ რეალური პოლიტიკური ბრძოლა „ქართული ოცნებისა“ და დამოუკიდებელი ჯგუფების მიერ წარდგენილ კანდიდატებს შორის მიმდინარეობს. რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლებს, ლევან კობერიძეს მიაჩნია, რომ მათი რაოდენობა არც იზრდება და არც მცირდება. ის, ვინც ყოფილ მმართველ გუნდს მხარს უჭერდა, დღესაც ამ პარტიის მომხრეა, „ქართულ ოცნებას“ კი მაღალი რეიტინგის მიუხედავად, ამომრჩეველთან ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, რომ მას ფუჭად არ უნდა ენდოს.

ვერსიანიუსი

სტიქიით დაზარალებული ოჯახების განცხადებების მიღება იწყება

როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში აცხადებენ, განსახლების მსურველი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების განაცხადების მიღება 30 ივნისს დაიწყება და 12 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.

სამინისტროს განმარტებით, განაცხადის შესავსებად ოჯახის წარმომადგენელი ქვემოთ ჩამოთვლილი მისამართებიდან ერთ-ერთზე უნდა გამოცხადდეს: ქ. თბილისი — თამარაშვილის №15ა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო); ქ. ზუგდიდი — რუსთაველის №87; (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რეგიონული სამმართველო); ქ. ქუთაისი — ირაკლი აბაშიძის №27 (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რეგიონული სამმართველო);

სამინისტროს ინფორმაციით, პირმა განაცხადის შესავსებად უნდა წარმოადგინოს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; ოჯახის არასრულწლოვანი წევრების დაბადების მოწმობები. ასევე, ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV-100/ა, (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არის მუდმივად მწოლიარე, უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება ან აქვს დარღვეული ფსიქიკური ფუნქცია;) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-საექსპერტიზო შემოწმების აქტი (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირები); მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია (თუ მშობელი ან ქვრივი მარტო ზრუნავს მცირეწლოვან შვილზე ან შვილებზე); მეურვეობის\მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა (თუ ხანდაზმულები ახორციელებენ მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ან შვილიშვილ(ებ)ის მიმართ).

„ინტერპრესნიუსი“

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ: „ᲕᲘᲜᲪ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡᲝ, ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲐ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲛᲐᲥᲜᲘᲡᲘ!“

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

პრეზიდენტისა და მთავრობის კულუარულ დაპირისპირებაზე საჯარო საუბარი მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გიორგი მარგველაშვილის მრჩევლის პოსტი დატოვა. ამბობს, რომ პირდაპირი წესით არჩეულ პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები სხვადასხვა მექანიზმით ეზღუდება, რაც პრობლემებს, პირველ რიგში, სახელმწიფოს შეუქმნის. მაინც, რა მოტივით დატოვა თანამდებობა და როგორი ურთიერთობა აქვს გიორგი მარგველაშვილთან? — „ვერსიას“ ᲕᲐᲜᲝ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ ესაუბრა.

„გადახედონ „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგებული პოლიტიკოსების ბიოგრაფიებს, რომელთა მისამართითაც უხერხული კითხვა მრავლადაა!“

— პრობლემა ისაა, რომ პრეზიდენტს, რომელიც პირდაპირი წესითაა არჩეული, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები სხვადასხვა მექანიზმით ეზღუდება. ქვეყანას, რომელიც ასეთი გამოწვევების წინაშე დგას, პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის რესურსი სჭირდება, თანაც ეს კონსტიტუციითაცაა განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს კონსტიტუცია არ მოსწონს, სახელმწიფოებრივ წყობას ყველამ პატივი უნდა ვცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ქვეყნისთვის ნეგატიური შედეგები მოყვება, რადგან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინ, პარტნიორ სახელმწიფოებს ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის კუთხით შეკითხვები უჩნდებათ.

— ბატონო ვანო, არ ფიქრობთ, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე ფონს სწორედ თქვენ ამწვავებთ? თანამდებობა აქამდე რატომ არ დატოვეთ?

— როგორც კი ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ადამიანების ჯგუფი ბიძინა ივანიშვილს ჩემზე არასწორ ინფორმაციებს აწვდიდა, პრეზიდენტს არაერთხელ შევთავაზე, პროცესებს გავერიდები და გვერდზე გავიწევი-მეთქი, მაგრამ თემები გაცილებით ფართო აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ამაზე ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა. გიორგი მარგველაშვილმა თავად მთხოვა, დავხმარებოდი და მეც გვერდით დავუდექი — შევუქმენი მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც დღესაც ადმინისტრაციაში მუშაობს. ეს ხდება იმ ფონზე, როცა ბიძინა ივანიშვილმა მასთან მისული არასწორი ინფორმაციები არც კი გადაამოწმა.

— ამ ჯგუფზე დიდი ხანია საუბრობთ, მაგრამ წევრებს არ აკონკრეტებთ. ისიც განმიმარტეთ, რატომაა უსაფუძვლო გავრცელებული ინფორმაცია თქვენსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის შესაძლო ფარული გარიგების შესახებ?

— ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებული როგორ უნდა ვიყო, როცა მისი ხელისუფლებისას, დაძაბული ურთიერთობის გამო, თანამდებობიდან რამდენჯერმე წამოვედი. ეს გამოგონილი თემაა, რათა რეალობა გადაფარონ. რეალობა კი ასეთია: პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობის მექანიზმები ვერ ჩამოყალიბდა.

— თუ დაპირისპირების მთავარი მიზეზი თქვენ არ ხართ, მაშინ რატომ გახდა ერთ დროს ფავორიტი ფილოსოფოსი ბიძინა ივანიშვილისთვის მიუღებელი?

— არ ვიცი, გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად თავად დაასახელეს, არჩევნებში კი 60%-ზე მეტი მიიღო. ბიძინა ივანიშვილი გიორგის კარგად იცნობს და როგორც ვიცი, საპრეზიდენტო კანდიდატადაც იმიტომ დაასახელეს, რომ სამოქალაქო სექტორში აქტიურად იყო ჩართული.

— თქვენგან განსხვავებით, პრეზიდენტი მთავრობასთან ურთიერთობას ასე მძიმედ არ აღიქვამს. გაგიმეორებთ კითხვას: ახლა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის არსებულ ურთიერთობაზე თქვენგან საუბარი გამართლებულია?

— საზოგადოებისთვის ეს თემა უცნობია? თავისუფალი ადამიანი ვარ და არავის სახელით არ ვლაპარაკობ, რადგან პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წამოვედი! როგორც მოქალაქეს, ჩემი აზრი მაქვს! ამ განცხადებისთვის თანამდებობას არავინ მომცემს და არც მადლობას მეტყვის, უბრალოდ, ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ეს, პირველ რიგში, ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი. პრეზიდენტმა კი აღნიშნა, რომ ერთმანეთთან მეტი კომუნიკაციაა საჭირო. ეს ურთიერთობა ვიწროპიროვნული, ვიწროპარტიული თუ ვიწროპოლიტიკური ჭრილიდან უნდა გამოვიდეს და ერთიან სახელმწიფოებრივ თემად იქცეს. ამის ნიშნები გამოჩნდა, რესურსი ბოლომდე ამოწურული არ არის

— როგორც ვიცი, მინისტრები და დანარჩენი პოლიტიკოსები ამისთვის მზად არიან და ეს დინამიკა უნდა შენარჩუნდეს.

— ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც თანამდებობა დატოვეთ?

— ეჭვი მეპარება, ამ პროცესს ხელი ჩემმა წამოსვლას შეუწყო, რადგან ურთიერთობა მათი დასალაგებელია და ამ პროცესში ჩემი ფაქტორი მნიშვნელოვანი არაა. საერთოდ, ყველაფერ ამის წინაპირობა ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ იყო. სწორედ მას შემდეგ გაჩნდა ურთიერთობებში უხერხულობა, რომელიც უახლოეს პერიოდში უნდა დაიძლიოს.

— აპელირებთ, საპარლამენტო არჩევნებამდე ივანიშვილმა თანამდებობა თავად შემომთავაზაო ანუ ამ წინადადების მიუღებლობისთვის ივანიშვილმა თქვენზე შური იძია?

— არ ვიცი, მას ცრუ ინფორმაციები მიუტანეს და როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა დასკვნებიც არასწორად გამოიტანა. თუ ადამიანი ამ ინფორმაციებს ჩაუღრმავდება, მიხვდება, რომ ბრალდებები უსაფუძვლოა.

— ისე, როცა გიორგი მარგველაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაზე საუბრობდით, თქვენი და პრეზიდენტის ინფორმაცია ერთმანეთს არ დაემთხვა. თქვენ აღნიშნეთ, რომ მოქმედი პრეზიდენტი და ექსპრეზიდენტი ვიპოთახში შეხვდნენ, გიორგი მარგველაშვილი კი აცხადებს, სააკაშვილს სანდრა რულოვსთან ერთად ქუჩაში შევხვდიო.

— გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ერთმანეთს ქუჩაში შეხვდნენ. მეც სწორედ ეს ვიგულისხმე, რადგან იქ არკაა და შეხვედრაც სწორედ არკასთან შედგა.

— და ისიც უბრალო დამთხვევაა, რომ თანამდებობიდან უკრაინის ვიზიტის შემდეგ წამოხვედით ან რა კავშირში იყო თქვენთან ლაშა აბაშიძის გათავისუფლება?

— ლაშა აბაშიძის თემა ბოლომდე არ ვიცი, ეს მას ჰკითხეთ. ლაშამ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო.

— როცა თანამდებობაზე დანიშვნას დათანხმდით, არ შეგექმნათ უხერხულობა, რომ თქვენი ძმა ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანია? ხომ იცოდით, რომ ეს თემა მუდმივი განხილვის საგანი იქნებოდა?

— პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პოლიტიკური თანამდებობა არ მეკავა, წმინდა წყლის საგარეო მიმართულებით ვიყავი დაკავებული. მიშა მაჭავარიანის ძმობა არ ნიშნავს, რომ იდენტური პოლიტიკური შეხედულებები გვაქვს. გადახედონ „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგებული პოლიტიკოსების ბიოგრაფიებს, რომელთა მისამართითაც უხერხული კითხვა მრავლადაა. არ დავკონკრეტდები, მაგრამ მათ საკმაოდ მაღალი თანამდებობები უკავიათ. თუ შესაბამისი უნარი აქვს, ნებისმიერი ელჩი ვალდებულია, იმუშაოს როგორც ამ მთავრობაზე, ისე მომავალ ხელისუფლებაზე. დიპლომატები მსგავს საკითხებს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ვუდგებით, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკურ ვექტორში წინა მთავრობისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომა არ აქვს. თუ საკითხს ასე მივუდგებით, გამოდის, საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიპლომატიური კორპუსი სრული შემადგენლობით უნდა დაითხოვოს, რადგან წინა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკასაც ემსახურებოდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც სწორედ ამ განწყობით მივედი.

— გიორგი მარგველაშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— დიდი ხნის მეგობრები და თანამოაზრეები ვართ. აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ საბოლოოდ, ყოველთვის ვთანხმდებოდით.

— რას გეგმავთ, პოლიტიკაში რჩებით?

— ჯერჯერობით, დასვენებას ვაპირებ, საგიჟეთში ვიყავი — ერთ ადამიანს მთელი სამდივნოს სამუშაოს შესრულება მიწევდა, რადგან სხვადასხვა მიზეზის გამო, სტრუქტურის ბოლომდე ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. გადავიღალე და მინდა, ოჯახის წევრებთან ერთად დავისვენო. ერთი მნიშვნელოვანი დეტალია: მინდა, იმ ადამიანებს პასუხი გავცე, რომლებიც ამბობენ, საიდან მოვიდა ან სად მიდისო. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დანიშვნამდე, საგარეო პოლიტიკის ცენტრში საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდით. გიორგი მარგველაშვილმა სწორედ ამ ჯგუფს გვთხოვა წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა და ეს თხოვნა დავაკმაყოფილეთ. პრეზიდენტის მრჩევლის პოსტის დატოვების შემდეგ, ჩემს საქმიანობას დავუბრუნდი. ასე რომ, ვინც ამბობს, წამოვიდა და არაფერს წარმოადგენსო, თავადაა არაფრისმაქნისი.

— ვისზე მიანიშნებთ?

— ვინც ამბობს ან მომავალში იტყვის, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წამოვიდა და ახლა არავინ არისო. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საგარეო მიმართულებით 25 წელია ვმუშაობ.

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

„ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ ᲓᲒᲐᲛᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ!“

მე-5 გვერდიდან

— არ შემიძლია, ანტიდისკრიმინაციულ კანონზე არ გკითხოთ: მოვისმინე ფრაზა, რომ „ოცნებისთვის“ ამ კანონის მიღება, დაახლოებით, იგივე აღმოჩნდება, რაც ცოცხები ნაციონალებისთვის. როგორც პროცესში ყველაზე აქტიურად ჩართული ადამიანი, ამ შეფასებას იზიარებთ?

— ამ ორის შედარება როგორ შეიძლება? ამ კანონს ასე ხისტად არ უნდა შეხედონ. არ შეიძლება. ამას სწორი ახსნა სჭირდება. ჩემთვის ეს განსაკუთრებით რთული პროცესი იყო. მართლმადიდებელი, მაზიარებელი ადამიანი ვარ, 17 წელია, მოძღვარი მყავს და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ყველა ადამიანის დაცვის ვალდებულება დამაკისრა. ამ კანონში წერია, რომ ნებისმიერი ადამიანი, მოგწონს თუ არა, შავია თუ თეთრი და ა.შ. არ უნდა დაჩაგრო. როგორ შეიძლება, ეს კანონი ქრისტიანი და თან ამ პოსტზე მყოფი ადამიანისთვის მიუღებელი იყოს?

— პატრიარქის თხოვნით, კანონპროექტში მართლა გააპარეთ ფრაზა — „საზოგადოებრივი ზნეობა“, რომელიც მერე თინა ხიდაშელმა ამოიღო და გუნდში ამის გამო დაპირისპირება მოხდა?

— ჯერ ერთი, კი არ გავაპარე, ჩავწერე. მეორეც, ეს ფრაზა არავის ამოუღია, ის დარჩა. ფრაზა „საზოგადოებრივი ზნეობა“ მნიშვნელოვანი ცვლილება და შეთანხმების საგანი იყო. ჩვენ ამ კანონში ბევრი რამ შევცვალეთ და ყველაფერი უმრავლესობასთან შეთანხმებით მოხდა, განხილვის მეორე დღეს, 4-საათიან სხდომაზე.

— ამბობენ, რომ უმრავლესობის ამ დახურულ სხდომაზე ბიძინა ივანიშვილის განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი თქვენ გახდით. ასე იყო?

— ეს ინფორმაცია არასწორია. ეს ტყუილია! რაც შეეხება უშუალოდ კანონს, მასში საფრთხეს ვერ ვხედავ და ჯერჯერობით, ამის საპირისპირო არგუმენტი არავისგან მომისმენია — თქვან, რას ხედავენ საფრთხისშემცველს ამ კანონში, სადაც არანაირი ტიპის პროპაგანდა არაა ჩადებული. პირიქით, კანონში წერია, რომ საზოგადოებრივი ზნეობა და საჯარო ინტერესი შემაკავებელი ფაქტორია. ასევე, წერია, რომ ეს კანონი არ შეიძლება იყოს გამოყენებული მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგოდ და არც ერთი ნორმა არ განიმარტება კონკორდატის საწინააღმდეგოდ. ბევრი სხვა რამ ამყარებს ამ პრინციპს. ეს კანონი უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგაა და არ აკანონებს ცოდვას. ეკლესიის შესაფასებელია, რა არის ცოდვა, მაგრამ სახელმწიფოს და ეკლესიის კანონები ხშირად განსხვავდება, ეს პატრიარქმაც მითხრა. სახელმწიფო ვერ იტყვის უარს ადამიანის დაცვაზე, როგორიც უნდა იყოს ეს ადამიანი, ჩვენი რელიგიაც შემწყნარებელია. ამ კანონის განმარტება მეტად არის საჭირო საზოგადოებისთვის, თუნდაც მუხლობრივად.

— კანონპროექტის სკანდალმა „ოცნებას“ რეიტინგი დააკლო?

— დიახ, შესაძლოა, მართლაც დააკლო. ხალხმა მისი გაცნობა ვერ მოახერხა, ბევრმა ვერ მოასწრო, ბევრი არასწორი ინფორმაციაც გავრცელდა. მგონია, რომ ეს ჩვენი შეცდომა იყო და ამ კანონპროექტის განხილვა ძალიან შეზღუდულ დროში მოხდა. გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს, რომ ამით საარჩევნო კამპანია უნდა დაეწყოთ და ეს ერთ-ერთი ყველაზე უღირსი საქციელია. ამ თემით მანიპულირება დაუშვებლად მიმაჩნია. სხვა ძალებს ამით პოლიტიკური ქულების დაწერა უნდოდათ... ის დემაგოგია, რითიც პოლიტიკოსები ადამიანის რელიგიურ გრძნობებზე მანიპულირებდნენ, ხვალ და ზეგ აუცილებლად იჩენს თავს. ჩემთვის მთავარია, ღმერთისა და ადამიანების წინაშე ვიყო მართალი და ვიცი, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ასეა.

— დევნილების წინაშეც მართალი ხართ? ინტერნეტსაიტებზე გავრცელდა ვიდეო, სადაც დევნილ ქალბატონებს ეჩხუბებით...

— დევნილები ჩემი კომიტეტის ერთ-ერთი განსაკუთრებული სფეროა. ეს ვიდეო ერთ-ერთი წინასაარჩევნო შეხვედრაა. იქ ნაციონალების 2-3 ადამიანი მოვიდა წინასწარმომზადებული ტექსტით და ჩხუბი დაიწყო, რასაც ჩემი ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა. ვუხსნიდი, რა იყო რეალობა. მერე ერთ-ერთის სახლში შევედი და დავათვალიერე მისი თხოვნით. ის ქალბატონი იძახდა — „მიშა მაგარია“, ესეც მისი უფლებაა, მოწონდეს. ეს სამი ქალი იყო ნაციონალების აქტივისტი. მაგალითად, ფოთში, სადაც დევნილთა დასახლების ორი სარჩევნო უბანია, ეს უბნები წავაგეთ.

— მერე, ეს ნაციონალების ბრალი როგორაა — დევნილები და არაქართველი მოსახლეობა ხომ ის სეგმენტია, რომელიც ავტომატურად ხელისუფლებას აძლევს ხმას?

— ეს ნიშნავს, რომ არჩევნები ნამდვილად არ გაყალბებულა და ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ მათ ნაციონალური მოძრაობა უშველით. მეც მიკვირს, მაგრამ ეს რეალობაა... თუმცა ასე ყველა არ ფიქრობს, რასაკვირველია.

საგარეჯოელმა „წივილამ“ გაგა მკურნალიძე პირში ჩალაგამოვლებული დატოვა

პატიმარი №0578

რუსთავის №17 დაწესებულება საჯილდაო ქვად იყო ქცეული. დაწესებულების დირექტორი ბაჩანა ახალაიას უახლოესი ძმაკაცი, ლაშა ბრეგვაძე გახლდათ და, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე იყო, სისტემას რეალურად დეპარტამენტის უფროსი, დავით ჭაკუა განაგებდა. ჭაკუას პირველი მოადგილე მისი ძმაკაცი გაგა მკურნალიძე გახლდათ. სწორედ გაგა იყო ის კაცი, რომელიც ნებისმიერ დროს, ნებისმიერ დაწესებულებაში შედიოდა, პატიმრებს პირადად უსწორდებოდა და დირექტორებს მითითებას აძლევდა. ერთადერთი, ბრეგვაძე ჭირვეულობდა და აცხადებდა, მე-17 დაწესებულება ჩემია, პატიმრების ცემის ექსკლუზივიც მე მაქვს და მკურნალიძე არაფერში მჭირდებაო. ამის მიუხედავად, ბატონი გაგა, მინიმუმ, თვეში ერთხელ შეივლიდა, 3-4 პატიმარს მეექვსე, ე.წ. კრიტის დაწესებულებისთვის აარჩევდა, კარცერში ჩაიხედავდა, თუ იქ ვინმე დახვდებოდა, პირადად სცემდა და მიდიოდა...

პატიმარი №0578 სულ რაღაც სამი დღის მიყვანილი იყო ზონაზე, როცა პატიმრებს ჩურჩულით გადაურბინა უსიამოვნო სიომ — მკურნალიძე მოვიდა. პატიმარი საკანში იყო წამოწოლილი და ეძინა. შესაბამისად, არ გაუგია, როგორ შემოვიდა ზონაზე მკურნალიძე, როგორ არ მოუვიდა თვალში ოთხი პატიმარი, რომელიც სკამზე იჯდა, მის დანახვაზე არ ადგა და შესაბამისად, „კრიტის“ გზას გაუდგა.

მკურნალიძემ ზონის ტერიტორია დატოვა და 67-ე საკანში ოფიცრის თავიც გამოჩნდა.

— პატიმარი №0578 გააღვიძეთ, ბატონი გაგა ეძახის, — საიდუმლო ხმით თქვა და საკნიდან გავიდა.

პატიმარი გააღვიძეს და უთხრეს, მკურნალიძეს არ შეეპასუხო, ცემაში სულს ამოგხდის, ყველაფერზე თავი დაუხარეო. პატიმარმა ხელ-პირი დაიბანა და ოფიცერს გაჰყვა. ადმინისტრაციის წინ ორნი იდგნენ — მკურნალიძე და ზონის უფროსის მოადგილე კენკებაშვილი. პატიმარი №0578 სახეზე არც ერთს არ იცნობდა და ამიტომ, ორივეს ყურადღებით დაუწყო თვალიერება. კენკებაშვილი ალაპარაკდა, მოუსმინე, ამას საქმე აქვს შენთანო.

— ბოდიში, მაგრამ ეს ვინ არის? — იკითხა პატიმარმა.

— რას ჰქვია, ვინ არის, ბატონი გაგა მკურნალიძე, არ იცი? — სწრაფად უპასუხა კენკებაშვილმა.

— კიდევ ერთხელ ბოდიში და თქვენ ვინ ხართ? — ისევ იკითხა პატიმარმა.

— შენ რა, ხუმრობის ხასიათზე ხარ? — კბილებში გამოსცრა მკურნალიძემ.

— არა, ბატონო გაგა, უბრალოდ, სამი დღის მოყვანილი ვარ და სახეზე მხოლოდ ჩემს თანასაკნელებს ვიცნობ, ყველას სახელიც არ ვიცი ჯერ და ახლა, თქვენი სახელებისა და სახეების დამახსოვრებას ერთ დღეში ნუ მომთხოვთ, თავადაც ხომ იცით, რომ პირველად გხედავთ და ეს ბატონიც დამეთანხმება, რომ პირველად მხედავს, — მშვიდად მიუგო პატიმარმა.

მკურნალიძემ ყურადღებით შეხედა პატიმარს და მერე მშვიდად ჰკითხა.

— სამი დღის მოყვანილი ხარ და უკვე 50-მდე პატიმარმა საჩივარი დაწერა. ამბობენ, პატიმარი №0578 უხსნის, როგორ და რანაირად უნდა დაიცვან თავისი უფლებებიო და მეტი საქმე არ გაქვს? ან საიდან იცი ამდენი, საჩივარი როგორ უნდა შედგეს?! — მკაცრად იკითხა მკურნალიძემ.

— საქმე მეტი ნამდვილად არ მაქვს. რაც შეეხება საიდან ვიცი ამდენი, თსუ მაქვს დამთავრებული, იურიდიული და

თან მაშინ, როცა რექტორი როინ მეტრეველი იყო, დეკანი კი — გივი ინწკირველი და მასწავლეს, — გაეღიმა პატიმარს.

— რაა? იურისტი ხარ? — გაუხარდა მკურნალიძეს.

— დიახ, იურისტი ვარ, — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეორე პირის სიხარული, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა პატიმარს.

— სასწრაფოდ, სასწრაფოდ კარცერში... სამი დღე ეყოფა, შეჭამს „წივილა“ სამ დღეში, — კენკებაშვილს გადაულაპარაკა გაგამ და ადმინისტრაციის შენობაში ავიდა.

— არ გაქვთ უფლება, კარცერში ჩამსვათ იმიტომ, რომ დარღვევაში რამე უნდა ჩამიწეროთ, მე კი არაფერი დამირღვევია და თქვენ დაიღუპავთ თავს, — კენკებაშვილს უთხრა პატიმარმა.

— რომ არ ჩაგსვა, მართლა თავს დავიღუპავ, — ჩუმად თქვა კენკებაშვილმა და პატიმარი №0578 კარცერში შეაგდეს.

ყველამ იცოდა, რომ იმ დროს კარცერში ერთადერთი პატიმარი, საგარეჯოელი „წივილა“ იჯდა და მკურნალიძე მას, უბრალოდ, ვერ შეეხებოდა. „წივილა“ ძველი ყაიდის პატიმარი გახლდათ, ძველი წესებით ცხოვრობდა და პატიმრები დიდ პატივს სცემდნენ. ადმინისტრაციაც ერიდებოდა, რადგან იცოდა, „წივილა“ უსამართლოდ არავის ექცეოდა და უსამართლობას არც ციხის თანამშრომლებს პატიობდა. ერთი უცნაური თვისებაც ჰქონდა — იურისტი მისთვის ადვოკატთან, გამომძიებელსა და პროკურორთან ასოცირდებოდა და სამივეს ერთნაირად ვერ იტანდა... ახლადმიყვანილმა კი არც „წივილა“ იცოდა და არც მისი დამოკიდებულება იურისტებისადმი.

ერთმანეთი მაშინვე გაიცნეს. „წივილამ“ სახელი და გვარი ჰკითხა, მერე გაოცდა, შენ კაი ბიჭი არ ხარ და ჩემთან რატომ შემოგიყვანეს, პატიოსანი ხალხი მარტო ჰყავთო.

— კაი ბიჭობაზე რა გითხრა, მაგრამ კარგ კაცობაზე პრეტენზია ნამდვილად მაქვს, ისე კი იურისტი ვარ და თუ რამეში დაგჭირდება ჩემი თავი... — პატიმარმა აღარ დაამთავრა, რადგან მიხვდა, „წივილას“ რაღაც ძალიან არ მოეწონა.

— ვინ ხარ? — ჩახლეჩილი ხმით იკითხა მან.

— პატიმარი №0578, იურისტი...

— სისტემაში გიმუშავია?

— სისტემაში რომ მქონდეს ნამუშევარი, ამ ზონაზე არ ვიქნებოდი. ეს ერთი და, მეორეც, როცა მკურნალიძემ გაიგო იურისტი ვიყავი, ასე თქვა, „წივილასთან“ ჩაგგდეთ, სამ დღეში შეჭამსო. ყოჩაღ მაგას, კარგად სცოდნია შენი ფსიქოლოგია, უკვე შესაჭმელად ემზადები, მაგრამ ის მაინც მითხარი, რატომ?! — გაიღიმა №0578-მა.

„წივილა“ ჩაფიქრდა, ხან ბეტონის იატაკს უყურებდა, ხან — ახლადმოყვანილს და თავისთვის ბუტბუტებდა: „ესე იგი, შეჭამსო... სამ დღეშიო... იურისტიო... წივილა შეჭამსო... სასწრაფოდო...“ მერე, უცებ წამოდგა და კარცერის კარზე დააბრახუნა. მორიგემ თავი შემოყო.

— კენკებაშვილს დაუძახე, მალე! — მიუგდო „წივილამ“.

3 წუთში კარცერში კენკებაშვილი გამოჩნდა.

— მომისმინე, მკურნალიძეს უთხარი, ჩამოვიდეს და მელაპარაკოს — ეს ერთი და მეორე, ამ კაცს ვინმე რამეს დაუშავებს და მე ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ, — დამარცვლა „წივილამ“.

— მკურნალიძე აქ არ არის, წავიდა უკვე. ეს კი, სამი დღე შენთან იქნება, ასე გამოუწერეს და, თუ ვინმე რამეს დაუშავებს, შენს გარდა არავინ იქნება, — მიუგდო კენკებაშვილმა და პატიმრები მარტო დატოვა.

საღამოს „ბალანდის“ დამრიგებელმა „წივილას“ „კარმუშკიდან“ ერთი კოლოფი სიგარეტი შემოაწოდა. ხვალიდან ორს მოიტან, ძმაკაცი მომიყვანეს, უთხრა „წივილამ“ და ის ერთი კოლოფი მაგიდაზე დააგდო, სანამ გვეყოფა, მოვწიოთო. დაღამდა... „წივილამ“ ჩუმად იკითხა, შენ განათლებული კაცი ხარ და ლექსები თუ იციო...

— როგორ არ ვიცი!

— გალაკტიონიც?

— გალაკტიონი და სხვებიც, „წივილ“.

— შეგიძლია, რომელიმე ლექსი მითხრა?

პატიმარმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა, მერე კი, მოულოდნელად კითხვა „წივილამ“ დაიწყო. ჯერ ერთი ლექსი, მერე მეორე, მესამე და... მოულოდნელად კარცერის კარი ხმაურით გაიღო და საკანში მკურნალიძე შემოვიდა.

— ეს რა ხდება? მეთქი, დაჭამენ ერთმანეთს და ეს წამოწოლილა, „წივილა“ კიდევ გალაკტიონს უკითხავს. სულ გაგიჟდით პატიმრები, ხო? — აყვირდა მკურნალიძე, მერე ოფიცერს მიუბრუნდა და ანიშნა, პატიმარი №0578 კამერაში აიყვანეო. აქ კი „წივილა“ აყვირდა, ამას სამდღიანი აქვს და სამი დღე აქ უნდა იყოს, არ გაგატანთო...

მკურნალიძემ ორივეს ყურადღებით შეხედა, მერე მიტრიალდა და უხმოდ გავიდა.

სამი დღის შემდეგ, პატიმარი საკანში დააბრუნეს, „წივილა“ ისევ კარცერში დარჩა, მერე კი, როცა ზონაზე ავიდა, 67-ე საკნის კარი მაყურებლებთან ერთად შეაღო და ხმამაღლა გამოაცხადა — პატიმარი №0578 ჩვენი ძმა არის, ამას თუ ვინმე აწყენინებს, ჩვენც გვაწყენინებს, იცოდეთო. პატიმრის ნარზე ერთი ბლოკი „კენტის“ შეკვრა დააგდეს და გავიდნენ.

პატიმარმა „კენტს“ დახედა და გაეღიმა — თურმე, დაუმახსოვრებია, ოთხ ნომერს რომ ვეწევი...

საგანმანათლებლო ინიციატივა

სექტემბრიდან სკოლებში სამედიცინო კაბინეტები აღდგება

რამდენ სკოლაში შევდენ და რა პრინციპით მოხდება ექიმთა არჩევა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტები აღდგება. როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, სკოლების უმეტესობა, წლების განმავლობაში, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მომსახურებით სარგებლობდა და იმუნიზაციის ხელშემწყობ პროცესებში ჩართული არ იყო; ამასთან, არ არსებობდა მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ბაზა და არ მოქმედებდა რეფერალის განხორციელების ადეკვატური მექანიზმი; სკოლებში ფიქსირდებოდა ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო მდგომარეობა, ჰიგიენის საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულობისა და ცოდნის ნაკლებობა იყო.

2014-2015 სასწავლო წლიდან განათლების სამინისტრო საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტების აღდგენის პილოტირებას იწყებს. პროექტის ფარგლებში, სკოლის ექიმი მოსწავლეებს დროულ პირველად სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენს; დაგეგმავს და განახორციელებს ჯანმრთელობის ხელშემწყობ ღონისძიებებს; განახორციელებს ქრონიკული დაავადებებისა და სასკოლო ტრავმატიზმის პრევენციას; გაავრცელებს ინფორმაციას იმუნიზაციისა და ინფექციური დაავადებების პრევენციულ მექანიზმებზე; სკოლის დირექციასა და დამრიგებლებს მისცემს რეკომენდაციას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; სკოლები აქტიურად ჩაერთვებიან იმუნიზაციის ხელშემწყობ პროცესებში; მოხდება ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლება.

სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი იქნება ინვენტარით, მედიკამენტებითა და სხვა საჭირო რესურსით. აღნიშნულ პროექტზე განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა მთელი წლის განმავლობაში ერთობლივად იმუშავეს. შედეგად, ახალი სასწავლო წლიდან, სკოლის ექიმებად დასაქმდებიან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეული პირები, რომლებიც ფლობენ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში — საოჯახო მედიცინა/პედიატრია. ჯანდაცვის სამინისტრო შეარჩევს და გადაამზადებს სკოლის ექიმებს და განახორციელებს მათი საქმიანობის მონიტორინგს. განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს საპილოტე სკოლების შერჩევას, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას.

სკოლის ექიმის ხელფასი განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყოფა, თუმცა ხელფასის ზუსტი ოდენობა ჯერ განსაზღვრული არაა. განათლების მინისტრ თამარ სანიკიძის ინფორმაციით, ხელფასის ოდენობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ ცვლაში იმუშავებს ექიმი. მხოლოდ პირველი ცვლის ბავშვებთან მომუშავე მედპერსონალის ხელფასი დაახლოებით 350-400 ლარით განისაზღვრება.

რაც შეეხება ინვენტარს, რომლითაც ექიმის კაბინეტი უნდა აღიჭურვოს, განათლების მინისტრის თქმით, უახლოეს პერიოდში ინვენტარზე ტენდერი გამოცხადდება — უკვე არსებობს მაკეტი, როგორ უნდა გამოიყურებოდეს სკოლის სამედიცინო პუნქტი. სანიკიძე ვარაუდობს, რომ ინვენტარის შესყიდვების პროცედურას ერთი თვე დასჭირდება.

არასამთავრობო ორგანიზაციის — „გვახსოვდეს ჰიპოკრატე “ ხელმძღვანელი **მარინა ბერაძე** სკოლებში სამედიცინო კაბინეტების აღდგენას კარგ და მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებს:

„სკოლებში სამედიცინო კაბინეტები ყოველთვის იყო და როცა მოისპო, ყველა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან ბავშვებისთვის ელემენტარული სამედიცინო დახმარების გაწევის შესაძლებლობა აღარ არსებობდა. თუ გვინდა, ჯანსაღი თაობა გავზარდოთ, აუცილებელია, ბავშვები ექიმის სტაბილური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. არ ვიცი, კაბინეტის იდეა როგორ იქნება დაგეგმილი და განხორციელებული, როგორი სამედიცინო პერსონალი შევა, მაგრამ, თუ სკოლაში სტომატოლოგიც იმუშავებს, მისასალმებელი იქნება. უპირველესად, უნდა უზრუნველვყოთ, რომ ბავშვები მერხთან სწორად ისხდნენ, ესეც ექიმმა უნდა შეამოწმოს; ასევე სანიტარული მდგომარეობა უნდა გააკონტროლონ, მოვლის ელემენტარული უნარ-ჩვევები უნდა შეასწავლონ. სკოლებში, იცით, სტომატოლიგი აუცილებელი რატომაა? — საერთოდ, ნებისმიერი დაავადების, მათ შორის, ინფექციურის გამოვლენის პირველი ნიშანი პირის ღრუშია და დასტაქარმა მშობელს მიმართულება უნდა მისცეს, რა კუთხით მიაქციოს ბავშვის ჯანმრთელობას ყურადღება. როცა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური არსებობდა და სკოლების სამედიცინო კაბინეტთან კავშირი ჰქონდა, მაგალითად, ტუბერკულოზზე, მანტუს სინჯზე ბავშვები მოწმდებოდნენ“.

2014 წლის სექტემბრიდან სამედიცინო კაბინეტი 100 საპილოტე სკოლაში განთავსდება...

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2			1	8			
		6			9			7
8		1			3	5		
		2					7	
9	1			8			6	2
	5					9		
		8	1			3		4
2			9			7		
			8	5			9	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	6							
	4		6				9	
				3	7	5		
6	1			7		2		
9			2		8			7
		2		6			5	1
		1	3	5				
	3				2		8	
							1	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

		1			8		7	6
7	3					4		
	6		7		9			
6					4			
		3	2	8	6	1		
			3					5
			9		2		8	
		5					9	4
9	7		8			6		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	2							4
				9		6	2	1
		4		5	2	3		
		6			4		3	
		2				7		
	9		6			8		
		1	2	4		9		
2	5	9		7				
6							5	7

ᲙᲕᲚᲝᲒᲖᲔ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲔᲑᲘ

ქვემოთ ჩამოთვლილი იდეები გაოცებას ან ღიმილს იწვევს, ავანტიურისტები კი, რომლებიც არ შეუშინდნენ მათ რეალიზებას, საკმაოდ დიდ ფულსაც შოულობენ:

დანაშაულის ადგილის დალაგება — ამერიკელი ჯერი ტერნერის კომპანია სწორედ ამ ბიზნესითაა დაკავებული და ფირმა Advanced Bio-Treatment მშვენივრად ართმევს თავს ამ მოვალეობას — მკვლელობის, თვითმკვლელობის, უბედური შემთხვევისა თუ სხვა სისხლიანი ინციდენტის „კვალის წაშლას“ თავგამოდებით ცდილობს. ფირმის სპეციალისტები ცრემლსადენი გაზის, საშიში ბაქტერიებისა და სხვა საფრთხისგან წმენდენ შენობებს.

ძაღლების ფეკალიების წმენდა — ყოველ დილით კომპანია DoodyCalls-ის თანამშრომლები ძაღლების ფეკალიებისგან ტერიტორიების დასასუფთავებლად გადიან. ჯეიკობ და სუზან დანიელომ მეტად გააკვირვეს ახლობლები, როცა ამ სპეციალიზაციის ფირმა დააარსეს. გაკვირვება გაკვირვებად რჩება, კომპანიის შემოსავალი კი ყოველწლიურად იზრდება. აღმოჩნდა, რომ თურმე არც ისე ცოტაა მდელო, გაზონი, ძაღლების სათამაშო მოედანი... რომელიც დასუფთავებასა და დეზოდორაციას საჭიროებს, DoodyCalls კი წარმატებით ყიდის მომსახურებას, რომელიც წელიწადში 24 500 დოლარი ღირს.

ფერფლის წყალქვეშ დაკრძალვა — კომპანია Eternal Reefs გარდაცვლილ ადამიანებს წყალქვეშ ამგზავრებს. ფირმის წარმომადგენლები ფერფლს ცემენტს ურევენ, მისგან მარჯნის რიფის მსგავსს ძერწავენ და ნახელავს ზღვის ფსკერზე, წყალქვეშა სასაფლაოზე ტოვებენ. გარდაცვლილთან გამომშვიდობების ცერემონიის შემდეგ, რომელიც გემზე იმართება, ახლობლებს „საფლავის“ მონახულება აკვალანგით შეეძლებათ და „თვალსაც დაატკბობენ“ საფლავის ქვების წყალქვეშა გამოფენით. ასეთი ორიგინალური სასაფლაო კომპანიას არა მარტო კარგი ფანტაზიის მქონე ადამიანებზე აქვს გათვლილი, არამედ იმედოვნებენ, რომ გარემოსდამცველებიც დაინტერესდებიან.

პანსიონატი ნუდისტებისთვის — DeAnza Springs Resort აშშ-ში უდიდესი პანსიონატია, სადაც ტანსაცმლის ტარება არ არის აუცილებელი პირობა კლიენტებისთვის. ის კალიფორნიაში, ქალაქ იაკუმბას მახლობლად მდებარეობს და ერთდროულად 700-მდე შიშველი სტუმრის მასპინძლობა შეუძლია, მფლობელები კი ნუდისტები — ჰელენ და დეივ ლანდმანები არიან. პანსიონატში ჩაცმული მხოლოდ მომსახურე პერსონალი უნდა იყოს და თანაც მხოლოდ ისინი, ვისაც გარესამყაროსთან აქვს კავშირი (სურსათის მიმწოდებლები, სხვადასხვა სამუშაოს შემსრულებლები) დანარჩენებს შეუძლიათ, პანსიონატის კლიენტებივით, შიშვლებმა იაროონ.

მოგზაურობა ტელესერიალების ადგილებში — ჟორჟეტ ბლეი ტელესერიალების თაყვანისმცემელია და სწორედ ამ გატაცებამ ჩაუსახა იდეა ისეთი ტურისტული ფირმის შექმნისა, რომელიც ექსკურსიას ტელესერიალებისა და მხატვრული ფილმების გადაღების ადგილებზე მოაწყობდა. კომპანიის On Location Tours Inc ექსკურსიებში შედის, მაგალითად, იმ ადგილების მონახულება, სადაც იღებდნენ „სექსს დიდი ქალაქში“, „სოპრანოს კლანს“, „ცენტრალ-პარკს“, „ადამიან-ობობას“, „ეშმაკი იცვამს პრადას“... ასევე სადილი და ვახშამი იმ რესტორნებში, რომლებიც სხვადასხვა ფილმებში ფიგურირებს. გამჭრიახმა ქალბატონმა ჟორჟეტმა წარმატებით აქცია გატაცება ბიზნესად, რადგან აბსოლუტურად დაუკავებელი ნიშა აღმოაჩინა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	4	8	3	1	2	9	7	6
7	9	3	8	5	6	4	2	1
6	2	1	9	7	4	3	8	5
3	1	7	6	4	9	8	5	2
2	8	6	7	3	5	1	4	9
4	5	9	2	8	1	7	6	3
1	3	5	4	6	8	2	9	7
9	7	4	5	2	3	6	1	8
8	6	2	1	9	7	5	3	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	2	8	1	6	9	7	3	5
7	1	6	8	3	5	2	4	9
9	3	5	2	4	7	1	8	6
2	9	3	7	8	6	4	5	1
6	8	1	5	2	4	3	9	7
5	4	7	9	1	3	6	2	8
3	7	9	6	5	2	8	1	4
1	6	4	3	9	8	5	7	2
8	5	2	4	7	1	9	6	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	9	6	5	7	3	8	2	1
1	5	2	9	8	6	7	4	3
8	3	7	1	4	2	6	5	9
7	6	4	3	1	5	9	8	2
5	2	3	8	9	4	1	6	7
9	1	8	2	6	7	4	3	5
3	4	9	7	2	8	5	1	6
2	8	1	6	5	9	3	7	4
6	7	5	4	3	1	2	9	8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	3	6	8	4	7	2	1	9
2	1	4	6	3	9	7	8	5
9	8	7	5	2	1	4	3	6
6	5	2	7	1	4	3	9	8
4	9	1	3	8	6	5	7	2
3	7	8	9	5	2	6	4	1
1	6	3	4	9	5	8	2	7
8	2	5	1	7	3	9	6	4
7	4	9	2	6	8	1	5	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	3	7	6	2	5	1	8	9
6	1	5	9	8	4	3	7	2
2	9	8	1	3	7	6	5	4
1	7	3	5	4	2	9	6	8
9	2	6	8	1	3	7	4	5
8	5	4	7	9	6	2	3	1
7	6	2	4	5	1	8	9	3
5	8	1	3	7	9	4	2	6
3	4	9	2	6	8	5	1	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	9	4	6	3	8	7	5	2
5	8	3	7	4	2	1	9	6
7	6	2	5	1	9	8	4	3
4	3	1	9	8	7	6	2	5
2	7	9	4	5	6	3	8	1
6	5	8	3	2	1	4	7	9
3	4	7	1	9	5	2	6	8
9	2	6	8	7	3	5	1	4
8	1	5	2	6	4	9	3	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	7	1	8	9	4	6	5	3
9	8	6	5	2	3	7	4	1
4	5	3	6	1	7	2	9	8
3	6	7	4	5	2	8	1	9
1	2	5	9	8	6	4	3	7
8	9	4	3	7	1	5	6	2
7	3	2	1	6	5	9	8	4
6	1	9	2	4	8	3	7	5
5	4	8	7	3	9	1	2	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	5	7	6	3	2	1	9	8
2	9	6	1	8	5	7	4	3
8	3	1	4	9	7	6	5	2
3	6	9	8	5	1	2	7	4
7	4	5	3	2	9	8	1	6
1	2	8	7	6	4	9	3	5
6	8	4	9	1	3	5	2	7
5	1	3	2	7	8	4	6	9
9	7	2	5	4	6	3	8	1

მე-10 გვერდი: 1. წიწაკა; 2. ანანური; 3. წინანდალი; 4. წყნეთი; 5. კორა; 6. კანბერა; 7. აკლდამა; 8. ბუფონადა; 9. რუნა; 10. მნათე; 11. აღუ; 12. ეული; 13. სიო; 14. პლაფონი; 15. ობივატელი; 16. არაფატი; 17. გორიო; 18. რამბულიე; 19. ემბარგო; 20. ანოა; 21. დღიური; 22. ლაოსი; 23. თხა; 24. ეგიდა; 25. „აიდა“; 26. გო; 27. ფაუ; 28. კოელიო; 29. ბისო; 30. თუთიყუში; 31. ვაფლი; 32. მიკ; 33. ურდუ; 34. გეგი; 35. აუზი; 36. ფარა; 37. ერბო; 38. ფისო; 39. ემუ; 40. ფისი; 41. თმა; 42. აგა; 43. ლავა; 44. ატიტიუდი; 45. ლაყე; 46. იოდი; 47. ყალია; 48. კაა; 49. უზი; 50. მეხიკო; 51. რიფი; 52. ლია; 53. აფსუს; 54. კიი; 55. სლაი; 56. ინა; 57. ესე; 58. ოე; 59. ვაშა; 60. კაბუკი; 61. ოზმა; 62. ბაჯო; 63. უჯრა; 64. ტოკაი; 65. აბა; 66. კამიუ; 67. კიოლნი; 68. ბოსხი; 69. ანიკა.

მე-12 გვერდი: 1. არხარი; 2. რეპეტიტორი; 3. არისტოტელე; 4. ეტრატი; 5. ტომაჰავკი; 6. ასამბლეა; 7. აპნისი; 8. ილიკო; 9. რკალი; 10. ხმიადი; 11. ოთარაანთ; 12. „იაბლოკო“; 13. ტიტრი; 14. ჰობი; 15. ტიკი; 16. იტილი; 17. ალთაი; 18. ტიტა; 19. კოლიე; 20. ვაება; 21. ბროლი; 22. ამაგი; 23. თიკუნი; 24. „ალეკო“; 25. მირეი მატიე; 26. ტონა; 27. გეენა; 28. ტარო; 29. რეკორდი; 30. კლარკ; 31. აკაცია; 32. აფოცი; 33. კვარტეტი; 34. თია; 35. კეფირი; 36. იდეა; 37. იოაკიმე; 38. აიალა; 39. კანოე; 40. აკრა; 41. თვე; 42. ნიასა; 43. ნეო; 44. ურანია; 45. განგი; 46. ოდეონი; 47. ედისონი; 48. ოდა; 49. ერი; 50. მაია; 51. ონო; 52. რაში; 53. ცეცე; 54. კალანდა; 55. ასი; 56. მირქმა; 57. აქლემი; 58. ტასია; 59. გადია; 60. სპორა; 61. ვეტო; 62. ტალი; 63. იბლისი; 64. უჯარმა; 65. იაილო; 66. ვაშლი; 67. სიფთა; 68. თლაშო; 69. ელია; 70. რიო; 71. „ასა“; 72. რაჯა; 73. ბრი; 74. პლისე; 75. სირ; 76. ჭა; 77. ასტანა; 78. არაბია; 79. მარშალი; 80. ისლი; 81. შტოფი; 82. მოლი; 83. რიოში; 84. შუ; 85. გოია; 86. ხალა; 87. ბოი.

1.მოსახლეობით მე-2 ქვეყანა მსოფლიოში
2. საღამოს პურის ჭამა
3. ერთი წერტილი კამათელზე
4.არჩევითი დაწესებულების წევრი
5. დას. საქართველოს ძვ.სახელწ.
6. თამაშის სეგმენტი ბეისბოლში
7.მშრალ ხევზე გადებული ხიდი
8. სოფელი ტყიბულის რაიონში
9. ნოტიო და ჩახუარებული ფქვილი
10.ზამბიის სიდიდით მეორე ქალაქი
11. .საქონლის გატანა საზღვარგარეთ
12. ძვ. ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
13. ოიდიპოსის ერთ-ერთი ვაჟი
14. ესპანელი ფილოსოფოსი
15. ლუარსაბ თათქარიძის მეუღლე
16.ხატაეთის მეფე „ვეფხისტყაოსანში“
17. სახოტბო ლექსი
18. ბულგარელი ნათელმხილველი
19. ებრაელის ბიბლიური სახელი
20.ევროპის კუნძულოვანი ქვეყანა
21. გათენება, გარიჟრაჟი
22.ზრდილობიანი დასტურის სიტყვა
23. ვაშლის ჯიში
24.ცნობილი ქუჩა მოსკოვის ცენტრში
25. ვაზების მწკრივი ვენახში
26.დედის ან მამის დედა
27.ლოცვის დასკვნითი სიტყვა
28. იაპონური საბრძოლო ხელოვნება
29. ნიუიორკის ერთ-ერთი ოლქი
30.ინგლისური ბოიბენდი
31. კომპოზიტორი ... სეფიაშვილი
32.რუსული თვითმფრინავის მარკა
33.მაღალფეხიანი ეკლესიური სასმისი
34. ედიტ პიაფის ნამდვილი გვარი
35. ლეო ქიაჩელის „... ბიგვა“
36. მდ. შვეიცარიის დედაქალაქში
37. ქლიავის ჯიში
38. დაკოდილი ცხენი
39. წამლის ბურთულა
40.რეზონანსის კონქალაქი
41. ბაში-აჩუკის ნამდვილი სახელი
42. იგივეა, რაც ამინდი
43. მსახიობი აშვარია ...
44. მდინარე იტალიაში
45. პატარძლის თავსაბურავი
46. მეძაობა, მრუშობა
47. ადამიანთა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა
48. გერმანული კოსმეტიკური ფირმა
49. მოხეტიალე მომღერალი ძვ. საბერ.
50.რქოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
51. შიშველი სხეული ფერწერაში
52.ხვეწნა, მუდარა ძველ ქართულში
53. ბაშკირეთის დედაქალაქი
54.ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
55. ლიბერიელი ფეხბურთელი ჯორჯ ...
56. მიანმარის ძველი სახელწოდ.
57. ჭადრაკის საერთაშ. ფედერაცია
58. თევზის ძვალი
59. ვაკე-დაბლობი მდინარე ივრის ქვემო დინებასთან
60. ფაშისტთა მფრინავი რაკეტა მეორე მსოფლიო ომში
61. საჰაერო-სათან კავშ. აღმნიშვ. წინსართი
62. წყლის პიტნა
63. ევროპის „ძეზობელი“
64.მუს. გამის VI ნოტი
65. კიდევ, ხელასლა
66. მითიური ამირანის დედა
67.აშშ-ის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ქალაქი

ნაყინი ხორციანი ღვეზელის გემოთი

ლონდონის ერთ-ერთი სახელგანთქმული მაღაზია უახლოეს დღეებში კლიენტებს შესთავაზებს ნაყინს ტრადიციული ბრიტანული კერძების გემოთი. მათ შორისაა ნაყინი ღორის ხორცის ფარშით, სოსისისა და ყველი „ჩედერის“ არომატით. ნაყინისთვის ამ უჩვეულო გემოთა ჩამონათვალი თავად ბრიტანელებმა შეადგინეს ინტერნეტ-გამოკითხვის მეშვეობით და 20 გემო აარჩიეს, რომელიც საუკეთესოდ ახასიათებს გაერთიანებულ სამეფოს. ინგლისელებმა ერთხმად აღიარეს, რომ ზაფხულის ცხელ დღეს სიამოვნებით მიირთმევენ ნაყინს და გაიხსენებენ საყვარელ კორნუელურ ღვეზელს ხორცის, კარტოფილისა და კომბოსტოს ფარშით, შოტლანდიურად მომზადებულ საქონლის გულ-ღვიძლს და იორკშირულ პუდინგს. ნაყინის ახალი გემოს ავტორის, კონდიტერ გინო სოლდანას თქმით, ყველაზე რთული აღმოჩნდა იმ ნაყინის მომზადება, რომელსაც თევზის გემო ექნებოდა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჩემპიონატის გამო თავს იავადმყოფებენ

ფეხბურთის ჩინელი გულშემატკივრები ყალბ სამედიცინო ცნობებს ყიდულობენ, სამსახურში რომ არ იარონ და ბრაზილიაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს უყურონ. მუნდიალის წინ განსაკუთრებით პოპულარული გახდა ყალბი ცნობები, რომელსაც დაახლოებით 50 დოლარად ყიდულობენ. 2014 წლის ჩემპიონატის მატჩების ძირითადი ნაწილი იმ დროს იწყება, როცა ჩინეთში გვიანი ღამე ან ადრიანი დილაა. გულშემატკივრები 300 იუანზე ცოტა მეტს იხდიან და ბეჭდიან ცნობებს იღებენ. ეს სერვისი ჩინეთში საკმაოდ მოთხოვნადი გახდა იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის ნაკრებმა მუნდიალზე თამაშის უფლება ვერ მოიპოვა.

კომადან გათხოვებისთვის გამოიყვანეს

იტალიელმა ექიმებმა რამდენიმე წუთით კომადან გამოიყვანეს მძიმედ ავადმყოფი პაციენტი, რათა ოცნება აესრულებინა და გათხოვილიყო. სპეციალისტებს აქამდე ვერ დაუსვამთ დიაგნოზი 50 წლის ჯოვანასთვის, რომელიც თვენახევრის წინ საავადმყოფოში მაღალი ტემპერატურით მიიყვანეს. ავადმყოფი რომ გადაერჩინათ, ექიმებმა ინტენსიური თერაპიის კურსი დაუნიშნეს, შემდეგ კი მედიკამენტოზურ კომაში შეიყვანეს. ამის მიუხედავად, პაციენტმა უარი არ თქვა დაგეგმილ ქორწილზე და კომაში ჩავარდნამდე ახლობლებსა და ექიმებს სთხოვა, „გაელვიძებინათ“ საქმროსთან ურთიერთობების გაფორმებისთვის. მოკლედ, ქორწილი გასულ კვირას შედგა ქალაქ პადუას საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის პალატაში, სადაც მიწვეული სტუმრები იძულებულნი იყვნენ, სტერილური ტანსაცმელი ჩაეცვათ და სამედიცინო ნიღბებით აღჭურვილიყვნენ. მიუხედავად ტკივილისა, პატარძალმა მოახერხა ცერემონიისას თანხმობის თქმა და კვლავ კომაში „ჩაიძირა“. მედიკოსების განცხადებით, ქალს რამდენიმე კვირის სიცოცხლე აქვს დარჩენილი.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		4		7				5
7	9		6			2		
		3			9			
2				6		4		
6		8	1		3	7		2
		7		5				6
			9			6		
		6			2		7	4
3				4		5		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		4					6	8
		3			6	1		9
1					2		7	
		7		6	1		3	
	1		3	5		7		
	8		1					7
3		5	6			8		
9	6					4		

ᲠᲗᲣᲚᲘ

	3	5		1				
9			3				1	
		8						
4		2	1	9			6	
1		7	6	8	4	3		5
	8			2	7	4		1
						7		
	6				2			9
				3		1	8	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4			5		9		6	
		8	7			5		
	2							9
3			9		2		5	
7								2
	1		3		6			8
8							9	
		3			1	6		
	5		8		3			4

პროსტიტუციის კურსები ესპანეთში

ბარსელონაში ოფიციალურად გაიხსნა სასწავლო კურსები: „პროსტიტუცია — პროფესიის საფუძვლები“. ორგანიზატორების განცხადებით, „სიძვის დიაცები“ სწავლებისას აითვისებენ მეტ სიბრძნეს, უფრო თავდაჯერებულები გახდებიან და ყველა კითხვაზე პასუხი ექნებათ. ამ უჩვეულო კურსებს სექსუალური სფეროს პროფესიონალების ასოციაცია ატარებს. სექსის სამყარო, სადაც ფულს იხდიან, მეძავებისგან მოითხოვს ინტელექტის მაღალ დონეს, თავდაჯერებულობას, სიყვარულის უნარსა და სხვა სოციალურ ჩვევებს, მოუმზადებელი გოგონა კი, შესაძლოა, ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს გადააწყდეს, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. მომავალ მეძავებს გაკვეთილებს ფსიქოლოგი და სექსუალური ინდუსტრიის წარმომადგენლებთან მუშაობის სპეციალისტი ჩაუტარებს, კურსების ღირებულება კი 45 ევროა.

26 დოლარად — მსოფლიოს გარშემო



მიკროჯოული — ეს განსაკუთრებით ეკონომიური ავტომობილია, რომელიც მინიმალურ საწვავს მოიხმარს და შეუძლია 2000 მილი (3300 კილომეტრი) გაიაროს ერთ ლიტრი ბენზინით. ეს სრულიად წარმოუდგენლად გვეჩვენება, მაგრამ ფაქტია. სატრანსპორტო საშუალება მხოლოდ ერთ მგზავრს იტევს, რომელიც 200 მილს მხოლოდ 20 ცენტად გაივლის. მიკროჯოული ფრანგი სტუდენტების ნახელავია ნანტის კოლეჯიდან, რომელიც ევროპული კონკურსის გამარჯვებული გახდა. კონკურსის ჟიურიმ გამოგონება ნიდერლანდებში, როტერდამის ტრეკზე გამოსცადა და გამოთვალა, რომ მიკროჯოულით მსოფლიოს შემოვლა მხოლოდ 26 დოლარი დაჯდება. საწვავის მაღალი ეკონომიურობა ხახუნისა და აეროდინამიკური წინააღმდეგობის დაბალი კოეფიციენტის შედეგია. თუ ამ ავტოს ბორბლებს დაატრიალებთ, შეუჩერებლად გაივლის რამდენიმე კილომეტრს და სპეციალისტები აცხადებენ, რომ საწვავის ფასის გათვალისწინებით, მიკროჯოულის დიდი მომავალი ექნება.

ბედნიერება 25-ე ცოლმა მიუტანა



49 წლის ნეპალელმა მტვირთავმა რამანჩანდრა კატუვალმა განაცხადა, რომ 24 წარუმატებელი ქორწინების შემდეგ, როგორც იქნა, ოჯახური ბედნიერება ჰპოვა ახალ ცოლთან ერთად, რომელთანაც ცოტა ხნის წინ ბედნიერი ქორწინების შვიდი წლისთავი იზეიმა, მანამდე კი კატუვალის ცხოვრება არაფრით აეწყო — პირველად 26 წლისა დაქორწინდა, მაგრამ მალე ცოლი საყვარელთან ერთად გაიქცა და მას შემდეგ წარუმატებელი ახალი კავშირები ერთმანეთს ცვლიდა, ყოფილ ცოლთაგან ზოგი ანალოგიურად მოიქცა, ზოგსაც თვითონ დაშორდა... ასე გრძელდებოდა 16 წელი — როცა 24-ე მეუღლემაც მიმატოვა, გადავწყვიტე, აღარასოდეს დავქორწინებულიყავიო, — ამბობს კატუვალი მაგრამ, როცა 23 წლის შარადას შეხვდა, ცდუნებას ვერ გაუძლო, კიდევ ერთხელ სცადა ოჯახის შექმნა და როგორც ჩანს, ამჯერად გაუმართლა.

ორსულიქალის სკულპტურამ ხალხი აღაშფოთა

ნიუ იორკის მცირე დასახლება ოლდ უესტბერის მცხოვრებნი დემიენ ჰერსტის ფეხმძიმე ქალის სკულპტურამ აღაშფოთა, რომელსაც მუცელი გაჭრილი აქვს და რომელიც სამშენებლო კომპანიების მფლობელისა და ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერის, ები როზენის მამულში დგას. ბრინჯაოს 10-მეტრიანი ფერადი სკულპტურა The Virgin Mother ანატომიის სახელმძღვანელოს ჰგავს: სხეულის ერთი ნახევარი კანითაა დაფარული, მეორე მხარეს კი მხოლოდ კუნთები და მუცელში მყოფი ჩანასახია. დასახლების მერი აცხადებს, რომ ქანდაკება არ შეეფერება გარემოს და უკეთესი იქნებოდა, თუ სამედიცინო დაწესებულების კედლებში დადგამდნენ. ადგილობრივების მრავალრიცხოვანი საჩივრების გამო, ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს, ქანდაკების ზომებზე შეზღუდვა დააწესონ, როზენიც გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა და სკულპტურას მამულის იმ ნაწილში გადაიტანს, საიდანაც ყველაზე ნაკლებად გამოჩნდება. იგი მზადაა, 10-მეტრიანი ღობეც გაავლოს, რომელიც „ფეხმძიმე ქალს“ უცხო თვალისგან დაფარავს.

სახლი თვითმფრინავისგან ააშენა

64 წლის ამერიკელმა პენსიონერმა ორეგონიდან, ბრიუს კემპბელმა სახლი ააშენა ბოინგ-727-ისგან, რომელიც ტყეში, ქალაქ პორტლენდის ახლოს მდებარეობს. თვითმფრინავის სალონს გადაკეთება დასჭირდა: მოაწესრიგა კაბინა, კიბე, გაუკეთა დიოდური განათება და გამჭვირვალე იატაკი, საშხაპე... ამ ყველაფრისთვის კი ყოფილ ინჟინერ კემპბელს 10 წელი და 200 ათასი დოლარი დასჭირდა, თუმცა მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და ბოინგისგან მეორე სახლის აშენებას გეგმავს იაპონიაში.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

1.მოკუმშული ხელის მტევანი, მჯიღი
2. საქალაქო ტრანსპორტი
3.ზანგის და თეთრკანიანის შვილი
4.ცნობილი ფრანგი დიზაინერი
5. ქართული ტელეარხი
6.პირველი კოსმონავტი ქალი
7. პალესტინის ძველი სახელწოდება
8. ცალკეული მოძრაობა სპორტში
9. დარტანიანის მსახური
10. მათემატიკის ნაწილი
11. რომის ერთ-ერთი ბორცვი
12. „ჯეინ ეირის“ ავტორი
13. „როკენ-როლის“ დედოფალი ... ტერნერი
14.ფილემონის ცოლი ბერძნულ მითოლოგიაში
15. თეთრი რბილი მინერალი
16. ჯარების მართვის ორგანო
17.მდინარე ბელორუსი-ასა და ლიტვაში
18. ალკოჰოლური სასმელი
19. ტაბიკების გადასაბმელი თოკი
20. დიდი ჩაქუჩი
21. მდინარე ავსტრიაში
22. ქიმიური ელემენტი, მეტალი
23. მოსკოვის ერთ-ერთი მდინარე
24. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
25. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
26. სუსტი ქარი, ნიავი
27. სპილენძის შენადნობი
28. „მარადისობის კანონის“ ავტორი
29. სპორტული ორთაბრძოლის სახეობა
30.სახელმწ. ...-მარინო
31.ტრიგონ. ფუნქცია
32.ინგლისის სტადიონი „...-ტრაფორდი“
33. უმწიკვლო, წმინდა
34.თუთიყუშის ჯიში
35.გაცრის ნარჩენი
36. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
37.აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ტბა
38. რომის იმპერატორი
39. უდიდესი კურილიის კუნძულებში
40. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
41. აღმოსავლური ხორციანი კერძი
42.მოკლელულიანი ქვემეხი
43. საზარელი სიზმარი
44. პიტალო, ფრიალო, მაღალი კლდე
45.საყვირების ხმით დანგრ. ბიბლიური ქალაქი
46. ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხი
47.მაღალ ტემპერატურაზე მშრალად გამდნარი კარაქი
48. ზღვის დიდი კიბო
49.აფრიკის უკიდურესი სამხრეთი კონცხი
50.ჩინეთის ქალ. კულ-ჯას მეორე სახელი
51. გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი
52. შხამიანი გველი
53. შაქრიანი ნიგვზის მასისგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი
54. ტიბეტური ხარი
55. მფრთხალი, შეუჭეველი ფრინველი
56. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
57. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
58. მომკლი თავთავის კონა
59. კაზინოს მუშაკი
60.კუნთთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი
61.შუადღის დასვენება ლათ. ამერიკის ქვეყნებში
62. საგნის მონახაზი, კონტური
63.პეტრე მოციქულის თავდაპირველი სახელი
64. ესპანელი ფერმწერი
65.ძველებ. ბრტყელი გრძელტარიანი მახვილი
66. ნბა-ს ვარსკვლავი
67.აბელის მკვლელი
68. ნირი, ხასიათი
69. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
70. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
71. ფოსო თვალის ქვეშ
72. ბავშვის დაბალი ხმა
73. მიმართულება, გზა
74.პლანეტა იუპიტერის ძველქართული სახელი
75. მამალი კვიცი
76.ანტონ ჩეხოვის მოთხრობა „... ვანია“
77. სამი წერტილი კამათელზე
78. ერთგვარი მომცრო ფრინველი
79.სიჩქარის ერთბაშად და მკვეთრად გაზრდა
80.დასტურის გამომხატველი სიტყვა იტალიურ ენაში
81. თომას ჰარდის „... დერ-ბერვილი“
82.ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა
83.აღორძინების ხანის ფლამანდიელი მხატვარი
84. კითხვის უნარის დაკარგვა
85.ძველი ებრაელი წინასწარმეტყველი
86. ზეესის დედა
87.ტვირთასაზიდი ნავი

ყველაზე დიდი ტელევიზორი შექმნეს

ბრიტანელმა სპეციალისტებმა კომპანიიდან Titan Screens რეკორდული ზომის ტელევიზორი შექმნეს — დიაგონალი 9,4 მეტრია, დაახლოებით სამსართულიანი სახლის ზომისაა და ღირებულებაც შესაბამისია — ყიდვას ბევრი ვერ შეძლებს, რადგან მსოფლიოში ყველაზე დიდი ტელევიზორი 1,6 მილიონ დოლარადაა შეფასებული, ამიტომაც საზოგადოების საკუთრება გახდება: ერთ ცალს სახლის სახურავზე განათავსებენ საფრანგეთში, ქალაქ კანში, რათა გულშემატკივრებმა სუფთა ჰაერზე ადევნონ თვალი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს. ტელევიზორს კომპანიის თანამშრომლები ხელით აწყობენ, ეკრანიც რამდენიმე პატარა ეკრანისგან შედგება და არც მისი გადაადგილებაა ადვილი — კომპანიაში პირობას დებენ, რომ ტრანსპორტირება 3 კვირაში იქნება შესაძლებელი, ხოლო დღეისთვის მხოლოდ ოთხი ტელევიზორია აწყობილი და ორი უკვე გაიყიდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.